სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 მაისი 2004 №104 (2123) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველომ ამოყვინთა წყალბურთზე პირში წყალს აღარ ვიგუბებთ

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრებმა სოფიაში ყოჩაღად დასძლია საკვალიფიკაციო ტურნირი და მალტაში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

სლოვენიელთა და უკრაინელთა ძლევის შემდეგ, შაბათს, ქართველებმა მასპინძელ ბულგარეთთან დაძაბული ბრძოლაში 5:4 იძალეს და ამ გამარჯვების შემდეგ კვიპროსელ თანატოლებთან დარჩენილი შეხვედრის მიუხედავად საშემოდგომოდ ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

ზედმეტი მოგება არავის აწყენს და ჩვენმა ბიჭებმა სუსტი კვიპროსიც დაამარცხეს — 9:3.

ოთხი შეხვედრა, ოთხი მოგება და ქვეჯგუფში დაკავებული პირველი ადგილი! ასეთი შედეგით დაბრუნდნენ წუხელ, გამთენიისას სოფიიდან ჩვენი წყალბურთელები: დავით ქაჯაია, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, სანდრო ხვედელიანი, გიორგი ბიბილეიშვილი, ილია ბუტიკაშვილი, გიორგი ცირეკიძე, ზურაბ რურუა, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გივი კიღურაძე, თამაზ მანძულაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, მიხეილ ბაღათურია და ირაკლი გოგელია

ცქიტიშვილი ვერის ბაღში

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

ფოტო: ბერაგ ფულეფეჯაშვილის

ფოტო: ბერაგ ფულეფეჯაშვილის

ფეხზე დავუდგეთ აკაკი დევაძის ტკივილს და პროფესიონალიზმს

გუშინ თბილისის „სპარტაკი“ „კოლხეთთან“ დამარცხდა და უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. ამაში განსაკუთრებული არაფერია — ვილაც უნდა გავარდნილიყო. არც სპარტაკელთა მეკარის, აკაკი დევაძის ჩვეული კარგი თამაში უნდა იყოს ვინმესთვის მოულოდნელი. თუ „სპარტაკში“ ვინმეა გამორჩეული, ეს დევაძეა. „კოლხეთთანაც“ რამდენჯერმე უნაღდეს გოლს გადაარჩინა თავისიანები.

აქ სხვა რამ გვინდა ვთქვათ. აკაკი დევაძეს მამა გარდაეცვალა, ჯერ არ დაუკრძალავს, ამ დროს კი გუნდს არ ღალატობს და მოედანზე გადის. თუმცა ღალატი აქ ცუდად ნათქვამი სიტყვაა — კაკო დევაძეს სათამაშოდ გაუსვლელობას ღალატად ვერავინ ჩაუთვლიდა და ვერც დასძრახავდა.

ის კი მაინც გავიდა და ითამაშა. მან იცოდა, რომ გავარდნის პირას მყოფ გუნდს მისი ყოფნა ჰაერივით სჭირდებოდა და პირად ტრაგედიას სძლია. ასეთი რამ, გნებავთ ფეხბურთში, გნებავთ სხვაგან, ხშირად არ ხდება. ასე მოქცევა რჩეულებს შეუძლიათ.

თბილისი 0:2 დინამო და ბოლნისური უცნაურობანი

ბადრი ქუთელაძის ფოტო

I-VI ადგილები						
დინამო	8	3	3	2	12:6	37
სიონი	8	4	3	1	11:5	35
ვიტ ჯორჯია	7	3	2	2	5:2	32
თბილისი	8	3	4	1	11:6	31
ლოკომოტივი	8	1	4	3	5:9	24
დილა	7	0	2	5	1:17	19

VII-XII ადგილები						
ტორპედო	8	5	2	1	15:6	34
კოლხეთი	8	4	3	1	9:4	27
მცხეთა	8	4	3	1	7:3	25
ბათუმი	8	3	0	5	5:10	25
სპარტაკი	8	3	1	4	7:7	18
მერცხალი	8	0	1	7	1:14	6

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი 15 ლიგა
მეორე ეტაპი
8 ტური

ბოლნისი. 9 მაისი. 18 საათი. თამაზ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:1 ლოკომოტივი

1:0 რ. ონიანი (9), 1:1 მორჩილაძე (80)

სიონი: ვოლკოვი, ბაქრაძე (გვასალია 85), ჭიჭვეიშვილი, გილაური, გაბისკირია, სიჭინავა, რ. ონიანი, ალადაშვილი, გ. შენგელია (უგრეხელიძე 46), ისიანი (დარსანია 68), გონჩაროვი
სათადარიგონი: ა. ლაბაძე; სვანიძე, ოქროპირიძე, გ. დოლიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ლოკომოტივი: მამალაძე, ი. ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე, ზამთარაძე (მორჩილაძე 46), მანწკავა, გ. ონიანი, სახვაძე (ძამსაშვილი 46), გ. ვ. მიქაძე, გოგინაშვილი (გაგუა 90)
სათადარიგონი: ხაჩირაშვილი; დ. დოლიძე, დათვაძე, სოსელია
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

გაფრთხილება: სალუქვაძე (33)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

დამარცხების დღე

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

ვისთან წავაგეთ, ეს რა დაგვემართაო — სიმწრით იძახდნენ საფინალო სასტვენის შემდეგ ბოლნისელი გულშემატკივრები, ნამატჩევს ერთმანეთში ჩხუბიც რომ მოუვიდათ. „სიონს“ არ წაუგია, მაგრამ ეს ფრე ქვემოქართლელთათვის მართლაც წაგების ტოლფასი იყო, რაკიღა ასე ახლოს მყოფ ჩემპიონობას ჩამოშორდნენ გუშინ ბოლნისელები.

და მართლაც, გამარჯვების დღეს „სიონი“ თავისივე უნიათობით დამარცხდა. დამარცხდა საჩემპიონო ბრძოლაში და ვინ იცის, ეგებ გუშინდელი ფრით ბოლნისელებმა უეფას თასზე გამსვლელი მეორე ადგილიც დაკარგეს.

არადა, დებიუტი სასიონო იყო — თემურ მახარაძის შეგირდებმა დასაწყისშივე მიაღწიეს სასურველ მიზანს — გოლი როინ ონიანმა გაიტანა, იური გაბისკირიას ოსტატური პასისას შორეულ ძელთან რომ დახვდა ბურთს და აუღელვებლად შეაგორა რკინიგზელთა კარში.

იმ წუთისთვის ბევრმა საქმე მომთავრებულად ჩათვალა, თუმცა... რკინიგზელებს გვარიანი მოტივაცია აქვთ „დინამოდან“ დაპირებული პრემიალურის სახითო, ამბობდა ზოგი კულუარებში გარკვეული და საქმეს მომთავრებულად სულაც არ თვლიდა.

„სიონს“ ერთი მომენტიც ჰქონდა, გიორგი შენგელიამ „მაკრატელა“ დაარტყა და ზურაბ მამალაძის ოსტატობამ იხსნა „ლოკომოტივი“. ეს იყო და ეს, მატჩის პირველ ნახევარში მომენტი აღარც ყოფილა, ბურთი უფრო ხშირად მასპინძლებისა კი იყო, მაგრამ ეს უპირატესობა საგოლე მომენტამდე აღარ მისულა.

დაიწყო მეორე ტაიმი და სხვანაირ თარგზე მოჭრილი „სიონი“ იხილეს ბოლნისელებმა. თემურ მახარაძის გოლის არ გაშვების ტაქტიკა აქამდე საზოგადოდაც ცნობილი იყო, თუმც, ვფიქრობთ, გუშინ მართლაც მეტისმეტი მოუვიდა „სიონის“ თავკაცს. მისი გუნდი მეორე ტაიმის პირველივე წუთებიდან დაცვაზე გადაერთო, ფაქტობრივად, ეული თავდამსხმელის, ბორის გონჩაროვის იმედად დარჩა. არადა, გონჩაროვი გუშინ მეტი რომ არ ვთქვათ, არ იყო სათამაშო იშტაზე, მისი გუნდი კი თავის ნახევარზე ბურთის გორებით ირთობდა თავს, ამგვარ გართობას კი „ლოკომოტივის“ მწვავე იერიშები ახლდა. ერთ-ერთი ასეთი გართობა მორჩილაძის სახიფათო დარტყმით დასრულდა, მცირედით რომ ასცდა კარს, მერე მიქაძემ და იმავ მორჩილაძემ სცადეს გატანა, თუმც არ გაუმართლათ და თამაშს დაეტყო, რომ „სიონი“ ცეცხლს ეთამაშებოდა.

მოსახდენი მე-80 წუთზე მოხდა — მორჩილაძემ ლამის ცენტრიდან დაარტყა, ვოლკოვი იოლად აიღებდა ბურთს, მაგრამ მოულოდნელად დაეცა, ბურთი გადაახტა და ანგარიშიც გათანაბრდა.

დარჩენილ დროში მასპინძელთა მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, არადა, ზედ საფინალო სასტვენის წინ კარიდან ხუთ მეტრში მამალაძის პირისპირ დარჩენილმა გონჩაროვმა ბურთი ვერ დაიმორჩილა.

ეს ფრე მართლაც მარცხის ტოლფასი იყო „სიონისთვის“.

საუკეთესო

დავით მორჩილაძე

მატჩის საუკეთესო დავით მორჩილაძე იყო. შეცვლაზე შესულმა ლოკომოტიველმა თავისიანთა თამაში გააშწვავა. ბევრი სამუშაო გასწია და ჯილდოც მიიღო — მორჩილაძის მიერ ლამის ცენტრიდან გატანილმა გოლმა „ლოკომოტივი“ ახეირა, „სიონს“ კი საბედისწერო ქულები დაუარგვინა.

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. XXXVI ტური

რასინგი 2:2 ატლეტიკო

დინამო კიევში თბილისმა გაუშვა... ვიტ ჯორჯია ჩამოიყვანა

დღეს საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ვალერი ლობანოვსკის სახელობის ტურნირში სამონაწილეოდ კიევს მიემგზავრება. ჩვენების გარდა კიევურ ტურნირში, რომელიც წლეულს მეორედ ეწყობა, მასპინძელი „დინამო“, რიგის „სკონტო“ და ტირასპოლის „შერიფი“ ითამაშებენ.

გუშინ კი „დინამომ“ ის ფეხბურთელები დაასახალა, რომლებიც კიევში ითამაშებენ: ზოიძე, გვარამაძე, თოთლაძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, კაშია, გიგაური, ბურდული, კვირკველია, რომერო, გრიგალაშვილი, ხმალაძე, კანკავა, ანჩაბაძე, იაშვილი, მელქაძე, კაკალაძე, ახალაია, დვალი, კარლოსი, ნემსაძე

გიორგი ნემსაძე და ბრაზილიელი კარლოსი ტრავმირებულნი არიან და მათი კიევში წასვლა-არწასვლის საქმე გუნდის ექიმებს დღეს უნდა გადაეწყვიტათ.

— ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირისთვის „დინამო“ საგანგებოდ არ ემზადებოდა, საამისოდ დრო არ გვქონდა და, შესაბამისად, არც მეტოქეებზე გვაქს დაწვრილებითი ინფორმაცია. ეს ტურნირი „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის კარგი გამოცდა იქნება და მათაც წაადგება, ვინც ფორმადაკარგულია, მაგალითად, ბურდული, მელქაძე, გვარამაძე... ჩვენთვის მთავარია, რომ კიევში თბილისის „დინამოს“ სახელი არ შევარცხვინოთ — თქვა გუშინ „დინამოს“ მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ.

ჩვენები პირველ მატჩს ხვალ ტირასპოლის „შერიფთან“ გამართავენ, მოგების შემთხვევაში კი ფინალში „დინამო“ — „სკონტოს“ გამარჯვებულს შეხვდებიან. თბილისელები შინ 14 მაისს დაბრუნდებიან, 17-ში კი მათ ერთი საჩემპიონო მატჩიც ელით, ეროვნულზე, „ვიტ ჯორჯიასთან“.

კოტა ინასარიძე

„დინამოს“ და „შერიფის“ წლევანდელი შეყრა ესენგეს თასზე დიდი ჩხუბით დამთავრდა

ვისთვის იწვიმა გორში?

გორი. 9 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — ვიტ ჯორჯია

„დილა“—„ვიტ ჯორჯიას“ საშინელი თავსხმა შეესწრო. მატჩის დაწყებამდე 20 წუთით ადრე გუნდები გაზაფხულის წვიმაში მოთელვაზე გამოვიდნენ და... ცამ პირი მოაღო, ტრიბუნიდან მოედანიც არ ჩანდა, მატჩის სანახავად მოსული ორმოცდაათამდე გულშემატკივარიც მთლად გაილუმპა. გუნდები გასახდელში შევიდნენ, წვიმა კი უფრო ძლიერდებოდა. მატჩის დაწყების დროს, 18 საათზე, მოედანზე შეხვედრის არბიტრი ალექსანდრე მეშკოვი გამოვიდა და ბურთით მოედანი მოსინჯა. ბურთი წყალში ჩერდებოდა, ასე იყო მოედნის მთელ სიგრძე-სიგანეზე. მეშკოვი გასახდელში შებრუნდა, სფფის ინსპექტორმა ვლადიმერ ბარქაიამ კი თქვა: „რეგლამენტით, თუ მოედნის ორი მესამედი დატბორილია, თამაში უნდა გადაიდოს, აქ კი მთლიანადაა დატბორილი და მატჩის ჩატარება შეუძლებელია“. შედგა შესაბამისი ოქმი. მანამდე „ვიტ ჯორჯიას“ მესვეურებმა, ბარემ, ჩამოვსულვართ, ეგებ გვეთამაშაო, თქვეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა.

დღეს პროფლიგა იმსჯელებს, როდის გაიმართება ავდრით ჩაშლილი მატჩი.

დავით ერაძე გორიდან

ასეთი რამ ბოლოს სდება

ოზურგეთი. 9 მაისი. 18 საათი. ცენტრალური. 50 (ტევადობა 8 000)

მერცხალი 0:1 ბათუმი

0:1 ფირცხალაიშვილი (89)

მერცხალი: გია გოგუა, კვირკვია, მუავანაძე, ჭალიაშვილი, მოწყობილი (ხომაშურიძე 57), გ. წივნივაძე, მებონია, უ. ჩხაიძე, ბართია (კვაჭანტირაძე 60), სიამაშვილი, თორია
სათადარიგონი: ებრალიძე, ოქიტაშვილი
მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი

ბათუმი: ი. ბალაძე, მახარაძე (დუმბაძე 60; სირბილაძე 86), ბეგლარ თედორაძე, ქაცარავა, მანჩხავა, გალოგრე, გუშარაშვილი, ბესიკ თედორაძე (ფურცხვანიძე 46), გვიანიძე, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი
სათადარიგონი: ქვაჩახია; ბეფანიძე, ნემსაძე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: ბესიკ თედორაძე (44), მუავანაძე (47), ფირცხალაიშვილი (62), კვირკვია (68)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან

ტრადიცია გრძელდებაო, ამაზეა ნათქვამი. აქამდე გურულები სამჯერ დამარცხდნენ ზღვისპირელებთან და სამჯერვე ბოლო წუთებში გატყდნენ. ვერც ახლა გაექცნენ ამ უსიამო ტრადიციას — გოლი მაშინ გაუშვეს, მატჩის დასრულებას ორიოდ წუთი რომ აკლდა.

პირველ ტაიმში „მერცხალმა“ მეტოქე კი დაჯაბნა, მაგრამ სახეიროს მაინც ვერას გამორჩა. მთლიანობაში ბურთს მასპინძლები უფრო აკონტროლებდნენ, მაგრამ შეტევაში კვლავაც უჭირდათ და აკი ერთადერთხელ იყვნენ მიზანთან ახლოს. წივწივაძემ ჯარიმა ზუსტად და ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ ივარგა ბალაძემ და ძნელი ბურთი მოიგერია.

ცოტა ადრე „ბათუმსაც“ მართებდა გატანა. ხელსაყრელ პოზიციაზე გასულმა ქაცარავამ მახვილი კუთხიდან კარის ბადე ოდენ გარედან შეარხია.

შესვენების შემდეგ ნახევარი საათი ისე გაილია, ღირებული არაფერი მომხდარა. აი, ბოლო 15 წუთში კი სტუმრებმა ქულების დაკარგვის საშიშროება იგრძნეს, გამოცოცხლებაც დაეტყოთ და „მერცხალის“ კართან ხიფათმაც იმატა. ამათგან გამორჩეული მანჩხავას შორეული დარტყმა იყო. იყოჩაღა გოგუამ, ტყვიასავით წასულ ბურთს თითის წვერებით შესწვდა და კუთხურზე გადაადგო.

ბოლოსწინა წუთზე კი ეს იყო: მარცხენა ფლანგზე მანჩხავა გაიჭრა და საჯარიმოში ფირცხალაიშვილი მოძებნა. ამან ჰაერშივე შეაგება ბურთს ცაცია და გოგუაც უსაქმოდ დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 თბილისი. 9 მაისი. 18 საათი. ისანი. 3 000 (ტევადობა 3 000)

თბილისი 0:2 დინამო

0:1 კაკალაძე (55), 0:2 კვირკველია (89)

თბილისი: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, ელიავა (გეწაძე 65), გ. ნუგ. ჭელიძე, მესხი (ლოლაძე 64), დ. ოდიკაძე, გ. ნუგ. ჭელიძე, ჯიქია (ფიფია 58), აფციაური, ხოჯავა *სათადარიგონი:* ნაჭყებია; მიქიაშვილი, ტყებუჩავა, სიდამონიძე **მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი	**დინამო:** ზოიძე, კაშია, შაშიაშვილი, კვირკველია, სილაგაძე, ახალაია (ბურდული 64), კანკავა, ანჩაბაძე, რომერო (ხმალაძე 80), ს. იაშვილი (დვალი 77), კაკალაძე *სათადარიგონი:* გვარამაძე; გიგაური, მელქაძე **მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: კვირკველია (7), კანკავა (29), ელიავა (40), მესხი (45), სილაგაძე (88)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ის ეპიზოდი, მიხეილ კაკალაძემ სოსო გრიშიკაშვილის მოგერიებულს ზუსტად რომ დაამატა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ბილიარდი ორ ჩაგდებამდე

ისნის მწვანე ხალიჩაზე ბედმა და ბურთმა დინამოსთვის წაღმა იტრიალა

კობა ინასარიძე

გამოცდილება და კლასი — „თბილისის“ მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა ეს სიტყვები რამდენჯერმე ახსენა ნამატჩევ პრესკონფერენციაზე — მეორე ტაიმის დასაწყისში „დინამო“ გვაჯობა, ბიჭებმა სათამაშო დისციპლინა დაარღვიეს, რაც სწორედაც რომ გამოუცდელობით აიხსნებაო.

უნდა დავეთანხმოთ „თბილისის“ თავკაცს. თანაბარი, თუმც უფრო მასპინძელთა კარნახით ჩამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ „თბილისი“ თითქოს მოდუნდაო — მოიშალა კავშირი დაცვასა და თავდახსმას შორის, დინამოელმა ჰავბეკებმა კი ტემპსა და აგრესიას უმატეს და თამაშიც, ფაქტობრივად, ამ 15-20-წუთიან მონაკვეთში გააკეთეს. 55-ე წუთზე კაკალაძის გატანილი გოლი „დინამოს“ საგრძნობი უპირატესობის ლოგიკური ბოლო იყო..

„ისნის“ სამიათასადგილიანი ცალტრიბუნა სტადიონი გადაჭედილი იყო. მაგრად წვიმდა, თუმც კარგ ფეხბურთს მონატრებული ქომაგი ამას არ შეუშინებია და ტრიბუნაზე ადგილი ვინც ვერ ნახა, მოედნის ახლო-მახლო შემაღლებულზე ჩამოჯდა და ალბათ თამაშითაც ისიამოვნა. აგერ, ახლახან ბოლნისში გაივსო 3 500-ადგილიანი „თამაზ სტეფანია“, ოთხშაბათს გორის 8250 -ადგილიან „თენგიზ ბურჯანაძეს“ პირთამდე შევსებას, ჰა-ჰა, 400-500 კაცი აკლდა, გუშინ „ისანზე“ იყო ანშლაგი — კარგი ტენდენციაა, ღმერთმანი.

„დინამოს“ მწვრთნელმა „სიონისა“ და თასზე „დილას“ დამარცხების შემდეგ ამჯერად უფრო ფრთხილი, 4-4-2 სქემით ათამაშა გუნდი. ბოლო შეხვედრებში დაცვის მარცხენა ფლანგზე დამკვიდრებული, თუმც დისკვალიფიკაციის გამო „თბილისთან“ ვერ მოთამაშე კანდელაკის შემცვლელად გეგუჩაძემ კვირკველია გამოიყენა, ცენტრიდან ამავეფლანგელ ჰავბეკად რომერო გადასწია, ხოლო შუაში კანკავა გაამწესა, ვინაც გორში მატჩისას მწვრთნელს თავი მოაწონა და არც გუშინ უმტყუნა. ეს იყო, რაც დინამოურ სისტემაში თვალშისაცემი ცვლილება გახლდათ. დევდარიანმა გუნდი უფრო თამამად ათამაშა. „თბილისი“ ორი ცენტრალური მცველით, კვარაცხელია-ქემოკლიძით დაუხვდა მეტოქეს, ელიავა და ოდიკაძე კი ფლანგებზე იყვნენ. დევდარიანმა აქცენტი, ეტყობოდა, მოედნის შუაში და იქიდან შეტევებზე გააკეთა. ორი ჩამშლელი — მესხი და ნუგზარის ძე ჭელიძე — გამთამაშებლებს, ხოჯავასა და აფციაურს უმაგრებდნენ ზურგს. სათადარიგო იყო ნაკადმყოფარი ფორვარდი ფიფია, მის არყოფნაში კი წინ ნოდარის ძე ჭელიძე თამაშობდა ჯიქიასთან ერთად.

„დინამომ“ თავიდან მარჯვენა ფლანგიდან შეტევებით დაიწყო, სადაც ახალაიასა და კაშიას აქტიურობამ ელიავა დაჩრდილა. სამოითხი მწვავე იერიში სწორედ მარჯვნიდან განვითარდა გრიშიკაშვილის კარისკენ, თუმც საქმე რეალურ მომენტამდე, თუნდაც კარისკენ დარტყმამდე არ მისულა. „თბილისი“, როგორც ვთქვით, ცენტრიდან ცდილობდა მეტოქის დაჯაბვნას, ერთი ხანობა ინდივიდუალური თამაშის ხარჯზე ეს გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ სტუმართა დაცვა ყოჩაღად იდგა. შესვენებამდე „თბილისს“ სამი კარგი მომენტი ჰქონდა, ერთხელ ოდიკაძეს, აფციაურის წამოწყებულ კონტრშეტევას რომ აბოლოვებდა, მერე ისევ მას, ჯარიმიდან ზოიძემ რომ აუღო, ტაიმის ბოლოს კი ხოჯავას, ვისი დარტყმულიც, ისე ჩანდა, ძელსაც გაეხახუნა.

შესვენების მერე მატჩი როგორც განახლდა, უკვე ვთქვით და „თბილისის“ მწვრთნელმაც ახსენა. „დინამო“ მოედანს დაეპატრონა, პრესინგით მეტოქე შებოჭა, ბურთი გააკონტროლა და მასპინძლებს საერვიულო არ დააკლო: საგოლე შეტევა კი კანკავამ დაიწყო, როცა ცენტრში დაატოვებინა მეტოქეს ბურთი და ანჩაბაძეს მიაწოდა, რომელმაც თავისი საქმე ძალიან კარგად იცის. დინამოელმა გადასერა „თბილისის“ ნახევარი და საჯარიმოს მიახლოებულმა გრიშიკაშვილს უხერხულად დაურტყა, ბურთი სველმა გაზონმა აისხლიტა, მეკარემ ვერ მოიხელთა, იქვე კი კაკალაძე გაჩნდა და ზუსტად დაამატა — 0:1. „დინამოს“ უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, „თბილისის“ ახალგაზრდა ფეხბურთელები დაიბნენ, კონცენტრაცია დაკარგეს, რითაც სარგებლობდნენ კიდეც დინამოელები. კვირკველიასა და კაკალაძეს ჰქონდათ საგოლე მომენტები, ანჩაბაძემ ერთხელაც დაურტყა გრიშიკაშვილს, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. დევდარიანის ზედიზედ სამმა შეცვლამ კი ნელნელა „თბილისს“ ძალა შემატა. თამაში თავის თავზე აიღო აფციაურმა, ვინც საკმაოდ მაღალტექნიკური ფეხბურთელია და მეტოქესთან პირისპირ ყოფნა მისთვის პრობლემა არაა. აფციაურის დაწყებულ შეტევებს მწვავე პასით ხოჯავა აგრძელებდა, მაგრამ მასპინძელი თავდამსხმელები მცველებისგან დასხლტომას ვერ ახერხებდნენ და ბურთიც სადღაც საჯარიმოსთან იკარგებოდა. იყო ფიფიასა და ხოჯავას დარტყმებიც, ძალიან სახიფათოც, თუმცა, შთაბეჭდილება იქმნებოდა, „თბილისი“ მაინც „დინამოს“ ჩრდილქვეშ თამაშობდა. ასეთი თამაშის ბოლო კი კვირკველიას გოლი იყო: ისევ გიორგი დევდარიანის სიტყვა, გამოცდილება, გავიხსენოთ — გამოცდილი ანჩაბაძე ფლანგზე მშვიდად და აუღელვებლად გაუსწორდა გამოუცდელ მეტოქეებს, საჯარიმოს მოედნისკენ ერთი გაიხედა და ბურთი დასარტყმელად გაუმზადა კვირკველიას, რომელმაც გრიშიკაშვილს მოგერიების შანსიც არ დაუტოვა — 0:2.

გია გეგუჩაძე: „თბილისის“ მადლობელი ვარ ლამაზი ფეხბურთისთვის. სასიამოვნოა, რომ მოკლე დროში ასეთი კარგი გუნდი გაკეთდა. წინა მატჩებისგან განსხვავებით, დღეს ოთხი მცველით ვითამაშეთ, ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრა იყო და შეცდომის უფლება არ გვქნდა. კანკავამ ბოლო ორ შეხვედრაში თავი კარგად წარმოაჩინა, თუმც მას გაცილებით მეტი შეუძლია, უმაღლეს ლიგაში თამაშს ის ახლა იწყებს.

გიორგი დევდარიანი: დღეს, ასეთ მეტოქესთან მატჩისას, გამჩნდა, რომ „თბილისს“ გამოცდილება, სათამაშო სიბრძნე აკლია. ვისურვებდი, მომავალში „დინამოსთვის“ უფრო ძლიერი კონკურენცია გაგვეწიოს. ვფიქრობ, კარგი, სანახაობრივი თამაში გამოვიდა, იყო რამდენიმე ლამაზი ეპიზოდი. მატჩი 0:2 დამთავრდა, ესე იგი, ასე უნდა დამთავრებულიყო. მეორე ტაიმში რამდენიმე ფეხბურთელმა დავალება ვერ შეასრულა და მთლიანად ტაქტიკაც აირია.

საუკეთესო

სანდრო იაშვილი

„თბილის“ — „დინამოზე“ ამდენი დავწერეთ და ამ ფეხბურთელის გვარი არ გვიხსენებია, თუმც შეგნებულად — რომ გვეხსენებინა, გაცილებით მეტის წერა მოგვიხდებოდა. გუშინდელი მატჩის მერე ერთმა ფეხბურთში ძალიან კარგად ჩახედულ-გარკვეულმა კაცმა თქვა, ეს ბიჭი რევაზ ჩილებაძეს უნდა მივაბაროთ, ერთ თვეში „ჩელე“ მას წვრილ-წვრილ საფეხბურთო ეშმაკობებსაც ასწავლის და ისეთი ცენტრფორვარდი გაიზრდება, უკეთესს ვერ ინატრებო. გუშინ სანდრო იაშვილის თამაში იყო.

სოსო გრიშიკაშვილმა ლადო ახალაიას დარტყმა არ დაანება

სანდრო იაშვილს ერთი და ორი კი არა, სამი კაცი ვერ აჩერებდა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ეკა ბურდელაშვილის ფოტო

ის მაინც გავიდა და ითამაშა. იცოდა, რომ გავარდნის პირას მყოფ გუნდს მისი ყოფნა ჰაერივით სჭირდებოდა და პირად ტრაგედიას სძლია. ასეთი რამ, გნებავთ ფეხბურთში, გნებავთ სხვაგან, ხშირად არ ხდება. ასე მოქცევა რჩეულებს შეუძლიათ.

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ აკაკი დევაძეს მამის გარდაცვალების გამო

სპარტაკი ჩავარდა

ფეხზე დავუდგეთ აკაკი დევაძის ტკივილს და პროფესიონალიზმს

თბილისი. 9 მაისი. 18 საათი. ოლიმპიკი. 300 (ტევადობა 1 500)

სპარტაკი 0:1 კოლხეთი

0:1 ჯ. შალამბერიძე (54)

სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ფვანია, ჩიკვილაძე, ა. იმნაიშვილი, ჯანგიძე, კ. შალამბერიძე (მაღლაფერიძე 70), კიკნაძე (ი. სამხარაძე 58), კვერენჩხილაძე, ტატანაშვილი მუშკუდიანი (მჭედლიშვილი 59) *სათადარიგო:* კანკიძე, პაპუაშვილი, ტაბიძე, ს. შელია **მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია	**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე, შ. ღონღლაძე, აკობია, ჭითანავა, დ. ნარსია, წურწუმია, თაყაძე, ჯ. შალამბერიძე (კრასოვსკი 81), კალანდაძე (მარგალიტაძე 46), ზ. ქუთათელაძე *სათადარიგო:* ჩემია; ქობულაძე, გაბედავა, გ. ტყებუჩავა, კუნჭულია **მწვრთნელი:** დავით მახარაძე

გაფრთხილება: წურწუმია (56), ბათიაშვილი (70), ჩიკვილაძე (90)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ვაჟა ხუციშვილი

ამ სეზონში „სპარტაკს“ მწვრთნელი სამჯერ შეუცვალეს, მაგრამ უმაღლესი ლიგიდან ნაადრევად დაქვეითებას მაინც ვერ გადაურჩა. რიგით მეოთხე თავკაცის, ბესიკ შეროზიას საჩემპიონატო დებიუტი გუშინ შედგა და, სამწუხაროდ, მარცხიანი გამოდგა.

მატჩის დაწყებამდე გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აკაკი დევაძის გარდაცვლილი მამის ხსოვნას, თავად მეკარე კი მასპინძელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. პირველ ტაიმში ჯონი შალამბერიძეს ისეთი დარტყმა აუღო, ფოთელმა გაოცებისგან თავში ხელები შემოირტყა. კოლხთა ნახევარმცველმა ბურთს ჰაერში დააგერა ფეხი, დევაძემ კი ცხრიანიდან გამოაძრო.

„სპარტაკს“ მდგომარეობა აიძულებდა, შეეტია და მასპინძლები მთელი მატჩი უტევდნენ, მაგრამ მთავარი, რასაც კარში ზუსტად დარტყმა ჰქვია, ვერ მოახერხეს.

შესვენებამდე თბილისელები საჯარიმოში გამუდმებით აწოდებდნენ, მაგრამ ზღვისპირელმა მცველებმა სპარტაკელი ფორვარდები დაჩრდილეს.

მასპინძელთა მომენტებიდან ორს თუ გამოვარჩევთ. იმნაიშვილის პასით მუშკუდიანს შეეძლო მეკარესთან პირისპირ გასვლა, თუმც მეურვემ სისწრაფით აჯობა, დაეწია და შეტევა ჩაუშალა. მოგვიანებით, კარის წინ ჩაწოდებული ბურთი მეტოქის ფეხამდე ჭითანავამ არ მიუშვა და თავით კუთხურზე მოიგერია.

ფოთელთა იერიშები მეტწილად მარჯვენა ფლანგიდან იწყებოდა, სადაც თაყაძე უსხლტებოდა მცველებს და ბურთს საჯარიმოში გზავნიდა. დევაძემ სამჯერ მუშტებით გამოიტანა მისი გზავნილი. ტაიმის მიწურულს აკობიას მართებდა გატანა, მაგრამ ხუთიოდ მეტრიდან კარს ააცილა.

გოლი, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა, ჯონი შალამბერიძის შექმნილია. მან მარჯვნივ თაყაძეს მიაწოდა, თავად საჯარიმოში შევარდა და დაბრუნებული ბურთი ვარდნაში თავით გაიტანა.

ამის მერე ფოთელები საკუთარ ნახევარზი დალაგდნენ და შეხვედრის ბოლომდე „სპარტაკის“ ქაოტურ იერიშებს იგერიებდნენ. რაც შეეძლოთ, აკეთეს და რაც იცოდნენ, გამოიყენეს მასპინძლებმა, მაგრამ ეს ლამის სამრიგა დაცვის დასაძლევად ეს საკმარისი არ გამოდგა. ერთადერი რეალური მომენტი ჯანგიძეს ჰქონდა, მაგრამ მანაც, აკობიას მსგავსად, ხუთიოდ მეტრიდან ბურთი ჩარჩოს ააცილა.

ეკა ბურდელაშვილის ფოტო

ტკივილი და ჯარიმა: ლევან აკობიამ კობა შალამბერიძე წააქცია

საუკეთესო



ჯონი შალამბერიძე

ჯონი შალამბერიძე მოხდენილი თავური გატანის გამო იმსახურებს გამორჩევას. ორი ლამაზი ეპიზოდი იყო ამ მატჩში და ორივეში შალამბერიძე მონაწილეობდა. ჯერ მიწაზე დაუშვებლად დაჭრა ბურთს, მაგრამ დევაძემ აჯობა, თუმც მეორედ მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

ლოგიკურია

ქუთაისი. 9 მაისი. 18 საათი. ტორპედო. 800 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 0:0 მცხეთა

ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ს. თოდუა, ლ. ჭელიძე (ადუაშვილი 83), გამეზარდაშვილი, კოშკაძე (მუმლაძე 68), ბოლქვაძე, მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, ხუციშვილი (გ. დარსაძე 66) *სათადარიგო:* გ. გაბელია, გ. ჩხეტიანი, ჭინჭარაული, ნ. ნადირაძე **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია	**მცხეთა:** ცინაძე, მგელაძე, ჩაჩუა, ძაგნიძე, რაქვიაშვილი, გ. თოდუა, ბესარაშვილი (კახნიაშვილი 46), ლ. ჩხაიძე (ფურთუხია 72), ქებაძე, ავალიანი, ხორავა (კიკალიშვილი 84) *სათადარიგო:* თ. ოდიკაძე, ბ. ნოზაძე, ბ. ნოზაძე **მწვრთნელი:** ჯანო ფოფხაძე

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. მჭედლიშვილი

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

ქუთაისური ფრის შემდეგ „მცხეთა“ უმაღლეს ლიგაში გადათამაშების გარეშე დარჩენის შანსს კვლავ ინარჩუნებს, ოღონდ საამისოდ მომდევნო ორ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის აღება მართებს. რაც შეეხება „ტორპედოს“, შემატებულმა ქულამ ქუთაისელებს ქვეექვსეულის პირველობა გაუნაღდა და ახლა მათი საფიქრალი თასის ფინალიღაა. საამბატჩოდ ორივე გუნდმა თითო ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისა — „ტორპედომ“ დავითაშვილი, „მცხეთამ“ ჯაფარიძე. გაბელიამ „აბრეზას“ არყოფნაში თავდასხმაში ხუციშვილი გაამწესა, რომელსაც ბაბუნაშვილიც ეხმარებოდა. თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, თუმცა რეალური ხიფათი მათ ტაიმის ბოლოსღა შექმნეს. მანამდე კი სტუმრებს ჰქონდათ კარგი შანსი, როცა ავალიანმა ხორავა გაიყვანა კარგ პოზიციაზე. ფორვარდს სტურუამ აჯობა. 44-ე წუთზე გატანა კოშკაძესაც შეეძლო, როცა სტუმართა მეკარე და მცველი შეცდნენ, კოშკაძემაც ცარიელ კარში დაარტყა, მაგრამ ჩაჩუამ კარის ხაზიდან თავით გამოიტანა ბურთი. ბოლო წუთზე ბაბუნაშვილის ძლიერი დარტყმული ცინაძემ მოიგერია. შესვენების შემდეგ მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს და შეტევა გააძლიერეს. თავდაპირველად ახალშესულ კახნიშვილს შეექმნა კარგი მომენტი, მაგრამ სტურუას ვერ აჯობა. მალე ქებაძეს უნდა გაეტანა, მაგრამ ამ „უნდას“ ვერ გასცდა. თავის მხრივ მასპინძლებიც ცდილობდნენ თავისას, მაგრამ ბაბუნაშვილს მეკარემ აუღო, ნერგაძის და ხუციშვილის დარტყმებს კი სიზუსტე აკლდა.

ინგლისი

პრემიერლიგა. XXXVII ტური

მანჩესტერ იუნ. 1:1 ჩელსი

0:1 გრონკიაერი (19), 1:1 ვან ნისტელროი (77)

ვან ნისტელროიმ ვერ გაიტანა პენალტი (40, მეკარე)

მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი, ფ. ნევილი (კლებერსონი 78), სქოულზი (საჰა 36), გიგზი, კ. რონალდო (სოლსკიაერი 87), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი (გ. ჯონსონი 74), ტერი, ჰუთი, ბრიჯი, გრონკიაერი (ბაბაიარო 83), მაკელელე, ჯერემი, ჯ. კოული (პარკერი 78), ლამპარდი, გუდიონსენი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: სქოულზი, ფ. ნევილი, ჰუთი, ტერი, ჰუთი, კლებერსონი

გაძევება: ჰუთი (73)

მსაჯი: ბენეტი

67 609 მაყურებელი

ბირმინგემი 0:3 ლივერპული

0:1 ოუენი (29), 0:2 ჰესკი (51), 0:3 ჯერარდი (86)

ბირმინგემი: ბენეტი, ტებილი, კანინგემი, აპსონი, კლეპამი (ს. ჯონი 59), დ. ჯონსონი, სევიჯი (ბ. ჰიუზი 59), კლემენსი (ე. სისე 59), ლაზარიდისი, ფორსელი, მორისონი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, მერფი, ჯერარდი, ჰამანი, კიუელი, ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ჯონსონი, სისე

გაძევება: კანინგემი (64)

მსაჯი: დანი

29 533 მაყურებელი

საუთჰემპტონი 1:1 ასტონ ვილა

0:1 ანხელი (39პ), 1:1 ფილიპსი (45)

საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ჰალი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, პრატონი, ა. სვენსონი, ფოლი, ფ. ფერნანდესი, ფილიპსი, ბიტი

მწვრთნელი: პოლ სტაროკი

ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, რიდგუელი, იოსენი, ჯ. სამუელი, ლ. ჰენდრი (უოტინგემი 90), გ. მაკკანი, ჰიცლშპერგერი, ბერი, პ. ანხელი (დაბლინი 86), ვასელი (კრუჩი 68)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: სვენსონი

მსაჯი: ვები

32 054 მაყურებელი

ევერტონი 1:2 ბოლტონი

0:1 ჯორკაეფი (14), 1:1 ფერგიუსონი (68), 1:2 ჯორკაეფი (87)

ევერტონი: მარტინ, ჰიბერტი, იობო, ვეირი (კ. კემბელი 90), პისტონე (რაძინსკი 46), უოტსონი, ოსმანი, ნიარკო (კარსლი 46), მაკფადენი, დ. ფერგიუსონი, რუნი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი (ბერნესი 81), ნგოტი, ტომე, ჩარლტონი, ნოლანი (რ. გარდნერი 85), კამპო, ოკოჩა, ჯორკაეფი, ჯ. დევისი, პედერსენი (ფრანდსენი 64)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ვეირი, კარსლი

მსაჯი: დარკინი

40 190 მაყურებელი

ტოტენჰემი 1:0 ბლეძბერნი

1:0 დეფო (18)

ტოტენჰემი: კელერი, ს. კელი, ტარიკო (ციგე 12), კინგი, ე. გარდნერი, მ. ბრაუნი, რედნაპი (პოიეტი 86), ა. რიკეტსი (კანუტი 63), ს. დევისი, რობი კინი, დეფო

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

ლიდსი გაპარდა, ლიდსი დაბრუნდება

ბლეძბერნი: ენკელმანი, ნაილი (რიდი 59), გრეი, შორტი, დუგლასი, ფლიტკროფტი (გალაჰერი 75), თუგაი, ნ. იოჰანსონი, ანდრესენი (ემერტონი 62), ენდი კოული, სტიდი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ნაილი, ანდრესენი

მსაჯი: დურსო

35 698 მაყურებელი

მიდლსბრო 2:1 მანჩესტერ სიტი

1:0 მაკარონე (8), 2:0 ნემეტი (32), 2:1 ვანჩოპე (35)

მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, ეპიოგუ, კეედრუ, ზენდენი, მენდიეტა, ბოატენგი, გრინინგი, ჟობი, ნემეტი, მაკარონე (დოუნინგი 63)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ჟიხაი, რ. დანი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი (სიბიერსკი 61), კ. რეინა, ანელკა (მაკენი 74), ვანჩოპე (რ. ელიოტი 74)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: ნემეტი, ტარნატი

მსაჯი: რაილი

34 734 მაყურებელი

ლიდსი 3:3 ჩარლტონი

0:1 ჰოლანდი (11), 1:1 კილგალონი (29), 2:1 პენანტი (41), 3:1 სმიტი (69პ), 3:2, 3:3 იუელი (76პ, 79)

ლიდსი: პ. რობინსონი, რიჩარდსონი (რადებე 82), დაბერი, კილგალონი, ჰარტი, გ. კელი (უილკოქსი 73), მაკფაილი, მატეო, პენანტი, სმიტი, მილნერი

მწვრთნელი: ედი გრეი

ჩარლტონი: კაილი, იანგი, ჰრეიდარსონი, ჯ. ფორჩუნი, კ. პაუელი (პერი 60), გ. სტიუარტი (კიშიშევი 60), ჰოლანდი, იუელი, კონჩესკი, დი კანიო (ბარტლეტი 60), ჯ. იოჰანსონი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

მსაჯი: ჰალსი

38 986 მაყურებელი

ლესტერი 3:1 პორტსმუთი

1:0 ტეილორი (6ს.ჯ.), 2:0 დიკოვი (27), 2:1 ქვოში (66), 3:1 სკოუკროფტი (71)

ლესტერი: უოქერი, ფ. სინკლერი, ჰიტი, დაბიზასი, მ. სტიუარტი, სკოუკროფტი, იზეტი (ნალისი 48), მაკკინლი, გაპი (ლ. ფერდინანდი 74), დიკოვი, მ. ბენტი (ბენჟამინი 89)

მწვრთნელი: მიკი ადამსი

პორტსმუთი: ჰისლოპი, კერტისი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, სტოუნი (შერინგემი 71), სმერტინი, ფეიე (მორნარი 57), ქვოში, აიეგბენი, ლუა ლუა

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ლუა ლუა, ჰისლოპი

მსაჯი: პოლი

31 536 მაყურებელი

ნიუკასლი 1:1 ვულვერჰემპტონი

1:0 ბოიერი (38), 1:1 განია (70)

ნიუკასლი: გიენი, ა. ჰიუზი, ს. კოლდუელი, ბრამბლი, ბერნარი, ამბროზი (ჩოპრა 80), სპიდი, ბოიერი, რობერი (ვიანა 80), შირერი, ამეობი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ვულვერჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ნეილორი (ა. რაე 31), ირვინი (განია 65), ოკორონკვო, ბატლერი, ა. კამარა, კამერონი (ი. გუდიონსონი 90), ინსი, კენედი, ნიუტონი, კორტი

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

გაფრთხილება: ინსი, ბოიერი, კამერონი

მსაჯი: მესიასი

52 139 მაყურებელი

ფულემი 0:1 არსენალი

0:1 რეიესი (9)

ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, პირსი, გომა, ბოკანეგრა, ჯეტუ (კ. ჯონი 58), შ. დევისი, ინამოტო (მაკბრაიდი 58), ლეგვინსკი, მალბრანკი, ბოა მორტე

მწვრთნელი: კრის კოულმენი

არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (კიოუნი 87), ვიეირა, პარლოუ, პირესი (კლიჩი 78), ანრი, რეიესი (ალიადირი 71)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ვიეირა, ანრი, პარლოუ, დევისი

მსაჯი: დინი

18 102 მაყურებელი

შაბათ საღამოს პრემიერლიგიდან ოფიციალურად გავარდა „ლიდსი" — ბოლო ათწლეულის ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდი, ლიგის ჩემპიონი თორმეტი წლის წინათ, ბევრი ახალგაზრდა ვარსკვლავის გამომჩენი, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასული თავისი აგრესიული ფეხბურთით, ინგლისის ჩემპიონობის პრეტენდენტი სამი სეზონის განმავლობაში.

„ლიდსმა" „ჩარლტონს" უმასპინძლა და შეხვედრა ფრედ, 3:3 დასრულდა. ჩარლტონელმა ჯეისონ იუელმა თამაშის მიწურულს, სამწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა და იორკშირელთა დაქვეითებაც ოფიციალურად გაფორმდა.

წლევანდელი პრემიერლიგის ყველაზე სევდიანი საღამო ალბათ, სწორედ ეს იყო. „ელანდ როუდზე" ისეთი სცენები გათამაშდა, ალან სმიტი იმგვარი გულმოკლულობით ეთხოვებოდა თავის გულშემატკივრებს, რომ დროებითმა მენეჯერმა ედი გრემ თავი ძლივს შეიკავა. სმიტი, „ლიდსში" გაზრდილი და კლუბში ბიჭობიდანვე მყოფი ფეხბურთელი იქაურობის გმირია და პირველ დივიზიონში არ გადაჰყვება გუნდს, როგორც ამბობენ, „ვალენსიაში" ითამაშებს. ოღონდაც, სმიტს ვერ წარმოუდგენია, რომ ალარასოდეს ითამაშებს „ლიდსში" და ამბობს, რომ დროებით მიდის.

„ლიდსი" კი იყო კლუბი, რომელიც მილიონებს ხარჯავდა, ეს მილიონები კი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ჰქონდა ნამდვილი ფეხბურთი. 100 მილიონგირვანქიანმა ვალმა კლუბი გაანადგურა, სმიტის და მარკ ვიდუკას გარდა ყველა ვარსკვლავი გააყიდინა და ახალი პატრონების ხელში ჩააგდო. ყოფილი პრეზიდენტი პიტერ რიდსდეილი კი, სესხების პოლიტიკის შემოქმედი, ახლა სულ სხვაგან საქმიანობს.

შაბათის „ლიდსი" კი, ინგლისური მედიის მოწმობით, მშვენიერი ახალგაზრდული გუნდი იყო და ამიტომ და არა მარტო ამიტომ „ლიდსი" დაბრუნდება, სხვანირად შეუძლებელია. 1991 წელს „ლიდსმა" პირველი დივიზიონი მოიგო და ამას ზედვე მიაყოლი პრემიერლიგაში გამარჯვება.

საბრძოლო კი პრემიერლიგაში მეოთხე ადგილი დარჩა, რისთვისაც იბრძვიან მადაზე მოსული „ლივერპული" და ტრავმებით ტანჯული „ნიუკასლი". „ლივერპულმა" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გამოაცხო ბირმინგემში და „სიტის" 3:0 მოუგო ოუენის ძველებური გოლით, ემილ ჰესკის ბრწყინვალე გოლით და სტივენ ჯერარდის ზუსტი დარტყმით. აღზევებულმა „ასტონ ვილამ", რომელმაც სალიგო ბრძოლაში ბოლოსღა მოახერხა ჩაბმა, ვეღარაფერი მოახერხა ამ საქმეში, რადგან საუთჰემპტონში ქულას დასჯერდა. კვირას თამაშობდა „ნიუკასლი", რომელიც ოთხშაბათს ითამაშებს თავის გამოტოვებულ მატჩს და ბოლო ტურში ლივერპულში გაემგზავრება ჩემპიონთა ლიგის საგზურის გადამწყვეტ მატჩზე. „კაჭკაჭებს" შეეძლოთ ბოლო ორ თამაშს უკეთეს გუნებაზეც დალოდებოდნენ, მაგრამ გავარდნილი „ვულვერჰემპტონი" ვერ დაამარცხეს.

„ნიუკასლი" ლი ბოიერის გოლით დაწინაურდა, მაგრამ სტუმრებმა გათანაბრება მოახერხეს. შეცვლაზე შესულმა რუმინელმა ვიორელ განიამ დაკარგული ბურთი მოიხელთა და დაბალ კუთხეში გაიტანა. თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე კი „ნიუკასლმა" ისეთი მომენტი გაუშვა, უკეთესს ვერ ინატრებდა — ალან შირერმა პენალტი ვერ გაიტანა, რომელიც პოლ ინსისგან გარი სპიდის წაქცევისთვის დაენიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს, ალბათ, სხვა ბნეშენელობისა იქნებოდა „ნიუკასლი" — „ფულსის" თამაში, რომელიც დასამახსოვრებელი იქნება იესპერ გრონკიაერის ბრწყინვალე გოლით და იმით, რომ რუუდ ვან ნისტელროის კარლო კუდიჩინის პენალტი აუღო, თუმცა, მეორე ტაიმში შეცდომა დაუშვა და ჰოლანდიელმავე გათანაბრა.

ირაკლი გამყრელიძე

პირველი დივიზიონი

XLVI ტური

ბარნლი 1:2 სანდერლენდი

1:0 ლიტლი (11), 1:1 ბრინი (37), 1:2 კილი (66)

ქოვენთრი 2:1 კრისტალ პალასი

1:0 კონჯიჩი (4), 2:0 დოილი (27), 2:1 ფრიდმენი (64)

ძრიუ 1:3 ნორვიჩი

0:1 ფლემინგი (28), 0:2 რობერტსი (31), 1:2 ეშტონი (82), 1:3 რობერტსი (88პ)

იფსვიჩი 1:1 კარდიფი

1:0 კუჟი (26), 1:1 ბალოკი (41)

მილუოლი 1:0 ბრედფორდი

1:0 ჰარისი (58პ)

პრესტონი 3:3 შეფილდ იუნ.

0:1 ჟაგიელკა (21), 1:1 ალექსანდერი (24), 1:2 გრეი (38), 2:2 ჰილი (54), 2:3 გრეი (77), 3:3 ფულერი (79)

სტოკი 0:0 ჯილინგემი

უოლსოლი 3:2 როტერჰემი

1:0 ოსბორნი (49), 1:1 პროქტორი (55პ), 2:1 მ. რაიტი (69), 2:2 ვარნი (90პ), 3:2 რიჩი (90)

უოტფორდი 1:0 რედინგი

1:0 იანგი (43)

ვესტ ბრომვიჩი 0:2 ნოტინგემი

0:1 გ. უილიამსი (4), 0:2 დევიდ ჯონსონი (90)

უიგანი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 რობერტსი (35), 1:1 დინი (90)

უიმბლდონი 1:0 დერბი ქაუნთი

1:0 დარლინგტონი (25)

საბოლოო ცხრილი

ნორვიჩი	46	28	10	8	79:39		94
ვესტ ბრომვიჩი	46	25	11	10	64:42		86
სანდერლენდი	46	22	13	11	62:45		79
ვესტ ჰემი	46	19	17	10	67:45		74
იფსვიჩი	46	21	10	15	84:72		73
კრ. პალასი	46	21	10	15	72:61		73
უიგანი	46	18	17	11	60:45		71
შეფილდი	46	20	11	15	65:56		71
რედინგი	46	20	10	16	55:57		70
მილუოლი	46	18	15	13	55:48		69
სტოკი	46	18	12	16	58:55		66
ქოვენთრი	46	17	14	15	67:54		65
კარდიფი	46	17	14	15	68:58		65
ნოტინგემი	46	15	15	16	61:58		60
პრესტონი	46	15	14	17	69:71		59
უოტფორდი	46	15	12	19	54:68		57
როტერჰემი	46	13	15	18	53:61		54
ქრიუ	46	14	11	21	57:66		53
ბარნლი	46	13	14	19	60:77		53
დერბი	46	13	13	20	53:67		52
ჯილინგემი	46	14	9	23	48:67		51
უოლსოლი	46	13	12	21	45:65		51
ბრედფორდი	46	10	6	30	38:69		36
უიმბლდონი	46	8	5	33	41:89		29

მეორე დივიზიონი

XLVI ტური

ბრენტფორდი — ბორნმუთი 1:0; ბრისტოლი — ბლეკპული 2:1; ჩესტერფილდი — ლუტონი 1:0; ნოტსი — ოლდჰემი 1:1; პიტერბრო — უიკომბი 1:1; პლიმუთი — კოლჩესტერი 2:0; რაშდენი — პორტ ვეილი 0:2; შეფილდ უენსდი — ქუინზ პარკი 1:3; სტოკპორტი — ბარნსლი 2:3; სუინდონი — ჰარტლპული 1:1; ტრანმერი — გრიმსბი 2:1; რექსემი — ბრაიტონი 0:2

III დივიზიონი

XLVI ტური

ბერი — მაკლსფილდი 2:0; ჩელტენჰემი — ჰადერსფილდი 1:1; დონკასტერი — კარლაილი 1:0; ჰალი — როვერსი 3:0; კიდერმინსტერი — ბოსტონი 2:0; ლეიტონი — კემბრიჯი 0:1; ლინკოლნი — იოვილი 2:3; მენსფილდი — ნორთჰემპტონი 1:2; ოქსფორდი — როჩდეილი 2:0; სკანთორპი — დარლინგტონი 0:1; საუთენდი — ტორკი 1:2; სუონსი — იორკი 0:0

ნიუკასლელებმა თავში საცემად გაიხადეს საქმე

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	არსენალი	37	25	12	0	71:25	46	87	18	14	4	0	38:13	25	46	19	11	8	0	33:12	21	41
2	ჩელსი	37	23	7	7	66:29	37	76	18	11	4	3	33:12	21	37	19	12	3	4	33:17	16	39
3	მანჩესტერი	37	22	6	9	62:35	27	72	19	12	4	3	37:15	22	40	18	10	2	6	25:20	5	32
4	ლივერპული	37	16	11	10	54:36	18	59	18	10	3	5	28:14	14	33	19	6	8	5	26:22	4	26
5	ასტონ ვილა	37	15	11	11	48:42	6	56	18	9	6	3	24:17	7	33	19	6	5	8	24:25	-1	23
6	ნიუკასლი	36	13	15	8	48:36	12	54	19	11	5	3	33:14	19	38	17	2	10	5	15:22	-7	16
7	ბოლტონი	37	14	11	12	48:54	-6	53	18	6	8	4	24:19	5	26	19	8	3	8	24:35	-11	27
8	ჩარლტონი	37	13	11	13	49:50	-1	50	18	6	6	6	27:28	-1	24	19	7	5	7	22:22	0	26
9	ფულემი	37	13	10	14	49:46	3	49	19	9	4	6	29:21	8	31	18	4	6	8	20:25	-5	18
10	ბირმინგემი	37	12	13	12	42:47	-5	49	19	8	5	6	26:24	2	29	18	4	8	6	16:23	-7	20
11	მიდლსბრო	37	13	9	15	43:47	-4	48	19	8	4	7	25:23	2	28	18	5	5	8	18:24	-6	20
12	საუთჰემპტონი	36	12	10	14	40:40	0	46	18	8	5	5	21:14	7	29	18	4	5	9	19:26	-7	17
13	ბლეძბერნი	37	12	7	18	50:58	-8	43	18	5	3	10	24:30	-6	18	19	7	4	8	26:28	-2	25
14	პორტსმუთი	37	11	9	17	42:53	-11	42	18	9	4	5	30:18	12	31	19	2	5	12	12:35	-23	11
15	ტოტენჰემი	37	12	6	19	45:57	-12	42	19	9	4	6	33:27	6	31	18	3	2	13	12:30	-18	11
16	ევერტონი	37	9	12	16	44:52	-8	39	19	8	5	6	27:20	7	29	18	1	7	10	17:32	-15	10
17	სიტი	37	8	14	15	50:53	-3	38	18	4	9	5	26:23	3	21	19	4	5	10	24:30	-6	17
18	ლესტერი	37	6	15	16	47:63	-16	33	19	3	10	6	19:28	-9	19	18	3	5	10	28:35	-7	14
19	ვულვზი	37	7	12	18	38:75	-37	33	18	7	5	6	23:33	-10	26	19	0	7	12	15:42	-27	7
20	ლიდსი	37	8	9	20	40:78	-38	33	19	5	7	7	25:31	-6	22	18	3	2	13	15:47	-32	11

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	29
შირერი (ნიუკასლი)	22
საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.)	20
ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.)	19

XXXVIII ტური

15 მაისი

არსენალი	—	ლესტერი
ასტონ ვილა	—	მანჩესტერი
ბლეძბერნი	—	ბირმინგემი
ბოლტონი	—	ფულემი
ჩარლტონი	—	საუთჰემპტონი
ჩელსი	—	ლიდსი
ლივერპული	—	ნიუკასლი
სიტი	—	ევერტონი
პორტსმუთი	—	მიდლსბრო
ვულვზი	—	ტოტენჰემი

გერმანია

აუნდესლიგა. XXXII ტური

მიონხენგლადბახი 2:0 შალკე

1:0 ჰაუსვაილერი (1), 2:0 სვერკოში (44პ)

მიონხენგლადბახი: შტილი, პლეტჩი, გაედე, ასანინი, კორზინეცი, ულიხი, ჰაუსვაილერი (კლუგე 90), ბროიხი (დემო 89), შტრასერი, ვან ლეენტი, სვერკოში (ვან ჰუტი 80)

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

შალკე: ფ. როსტი, კლასენერი, ვალდოხი, **კობიაშვილი**, კ. პოულსენი, ვერმანტი, დელურა (ჰანკე 62), ჰამიტ ალტინტოპი, ბიომე (უდე კამპუისი 62), ასამოა, სანდი (გლიდერი 87)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: ჰაუსვაილერი, კორზინეცი, ალტინტოპი, როსტი, უდე კამპუისი

მსაჯი: მაიერი

34 500 მაყურებელი

ბაიერნი 1:3 ვერდერი

0:1 კლასნიჩი (19), 0:2 მიკუ (26), 0:3 აილტონი (35), 1:3 მაკაი (55)

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, შვაინსტაიგერი (სანტა კრუზი 46), ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, კრსტაიჩი, ისმაელი (ლაგერბლომი 71), შულეი (სკრიპნიკი 56), ბოროვსკი, ბაუმანი, ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 87)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ბალაკი, აილტონი, ისმაელი, კლასნიჩი

მსაჯი: შტაინბორნი

63 000 მაყურებელი

ჰამბურგი 2:1 შტუტგარტი

1:0 ბაინლიხი (38), 2:0 ჰოოგმა (47), 2:1 კაკაუ (86)

ჰამბურგი: ვიასტერი, ფუკალი, ჰოოგმა, უიფალუში, ვიკი, შლიკე (კლინგი 56), იაროლიმი, ბაინლიხი (კარდოზო 79), მაჰდავიკია, ბარბარესი, რომეო

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ლამი (ჰინკელი 52), ბ. ყივკოვიჩი, მეირა, ჰ. გერბერი, სოლდო (ჰელდტი 46), ტიფერტი, მაისნერი, ა. გლები, საბიჩი (გომესი 48), კაკაუ

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: ვიკი, მაისნერი, ტიფერტი

მსაჯი: ალბრეხტი

55 128 მაყურებელი

ლევერკუზენი 2:0 კიოლნი

1:0 ფრიცი (20), 2:0 ფრანცა (74)

ბერბატოვმა ვერ გაიტანა პენალტი (86, მეკარე)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კ. ფრიცი, ნოვოტნი, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი, ბაშთურქი, ბაბიჩი, ბერბატოვი, ფრანცა (ნოიგილი 81)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

კიოლნი: ვესელსი (ბადე 49), ო. შროდერი, დოგანი, სინკევიჩი, სიხონე, შერეი, ფიულნერი (გრუიჩი 81), სინკალა, შპრინგერი, ვოიგტი, პოდოლსკი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: რამელო, ბაშთურქი, პოდოლსკი, სინკევიჩი

მსაჯი: კოოპი

22 500 მაყურებელი

დაუკარით, შაფია!

ბრემენელი მუსიკოსების გალაკონცერტი მიუნხენში

ჰერტა 6:2 დორტმუნდი

1:0 კელი (7ს.ჯ.), 2:0 მარსელინიო (19), 3:0 ბობიჩი (37), 3:1 ევერტონი (52), 4:1 ვიშნიარეკი (57), 4:2 ევერტონი (80), 5:2 ნოინდორფი (86), 6:2 რაფაელი (90)

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, შიმუნიჩი, კაგარა, დარდაი, შმიდტი, პინტუ, მარსელინიო (ნოინდორფი 79), ბობიჩი (რაფაელი 87), ვიშნიარეკი (გოორი 65)

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

დორტმუნდი: ვარმუზი, ევანილსონი, შ, როიტერი (რიკენი 77), მადუნი, ნ. იენსენი (ევერტონი 46), კელი, ფრინგსი, დედე, როსიცკი (ოდონკორი 81), გამბინო, კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: რაფაელი, დედე

მსაჯი: ფანდელი

56 307 მაყურებელი

კაიზერსლაუტერნი 3:2 ვოლფსბურგი

1:0 ლოკვენცი (57), 1:1 კლიმოვიჩი (65), 1:2 პეტროვი (66), 2:2 ლოკვენცი (72), 3:2 ბიელიცა (75)

კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, თ. როიტერი (კლოზე 71), კნავსი, ვენცელი, დრეშერი (ნურმელა 81), რიდლი, ბიელიცა, ჩატო, მ. ხრისტოვი, ჰალილ ალტინტოპი, ლოკვენცი

მწვრთნელი: კურტ იარა

ვოლფსბურგი: იენჩი, რაიტერი (ტიამი 47), ბილიშკოვი (ფერნანდო 82), შნაორი, ვაიზერი, კარპანი, შარპეი, დალესანდრო, ტოპიჩი (ფრანცი 57), კლიმოვიჩი, მ. პეტროვი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: რიდლი, ბილიშკოვი, შნაორი, შარპეი, ვაიზერი, პეტროვი, შნაორი

გაძევება: შნაორი (85)

მსაჯი: იანსენი

38 206 მაყურებელი

ჰანოვერი 3:0 აინტრახტი

1:0, 2:0 ბრდარიჩი (42, 75), 3:0 იდრისუ (89)

ჰანოვერი: ციგლერი, შრიოტერი, მერტესაკერი, ზურავი, კლებერი (შულერი 90), დე გუცმანი, ხაიმე (შტენდელი 82), დაბროვსკი, მატისი, იდრისუ, ბრდარიჩი (კრისტიანსენი 84)

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

აინტრახტი: პრიოლი, გიუნტერი (ჩა 46), ჰერჩი, კრისი, ბიურგერი (ფრომერი 46), შური, პროისი, შკელა, კროიცი, ამანატიდისი, ბაიერლე (ბინდევალდი 70)

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

გაფრთხილება: დე გუცმანი, ბრდარიჩი, კრისი, ბიურგერი, კროიცი, შური

მსაჯი: შტარკი

27 537 მაყურებელი

ბოხუმი 3:0 ფრაიბურგი

1:0 მადსენი (2), 2:0 ჰაშემიანი (53), 3:0 კაირო (69ს.ჯ.)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, მაიხელბეკი, ფარენჰორსტი, პ. ბიონიგი, სტევიჩი (ბაკლი 82), ცდებელი (ფ. ტაპალოვიჩი 55), ვოში (ტ. გუდიონსონი 74), ფრაიერი, ჰაშემიანი, პ. მადსენი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ფრაიბურგი: რაინარდი, კრუპკე (შ. მიულერი 80), ბ. დიარა, რიტერი, ვილი, ბერნერი (კაირო 55), ჰერმელი, **ცაქიტიშვილი**, ა. ცაიერი, **იაშვილი**, ტანკო

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: მაიხელბეკი, კრუპკე

მსაჯი: შიპელი

28 000 მაყურებელი

ჰანზა 3:0 მიუნხენ 1860

1:0 მაქსი (15), 2:0 რიდლევიჩი (48პ), 3:0 ტიკუზუ (82)

ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, კ. მადსენი, ჰილი, ტიკუზუ, რიდლევიჩი (დი სალვო 87), ლანცი (მეგელე 84), მაული, მაქსი, არვიდსონი (პრიკა 75)

მწვრთნელი: იური შლიუნცი

მიუნხენ 1860: მ. ჰოფმანი, **შტრანცლი** (გიორლიცი 46), **კურცი** (დევიდსი 64), **როდრიგო კოშტა**, ტ. ჰოფმანი, ჩერნი, ტისი, მათიას ლემანი (შაო 46), **შროტი**, კიიიო, **აგოსტინო**

მწვრთნელი: **გერალდ ვანენბურგი**

გაფრთხილება: **მადსენი, მაქსი, კურცი, მ. ჰოფმანი, აგოსტინო, შროტი**

მსაჯი: **კირხერი**

23 000 მაყურებელი

„სეზონის განმავლობაში ვაკვირდებოდი „ვერდერს“ და სუსტი წერტილი ვერ აღმოვუჩინე“ — განაცხადა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელმაც ბრემენელთა ჩემპიონობა გაზაფხულის დადგომისთანავე იწინასწარმეტყველა.

„ბაიერნელები ბევრს ლაქლაქებდნენ, ჩვენ კი ქულებს ვაგროვებდით“ — მოკლედ მოჭრა ჩემპიონთა ფრანგმა ვალერიან ისმაელმა.

„მუსიკოსთა“ მთავარმეგოლე აილტონი მოედანზე პირქვედამხობილი ალბათ ლოცულობდა, რადგან მოგვიანებით თვალცრემლიანმა თქვა: „გარდაცვლილი დედა მომაგონდა, მისგან მთელი ცხოვრება დავალებული ვარ და მჯერა, რომ ახლა მხედავს“.

ული ჰაინესის ბაქიაობა თომას შაფმა წყალს გაატანა. თურმე ამაოდ იქადნებოდა „ბაიერნის“ მენეჯერი. „ეს ფანტასტიკური სეზონია ფანტასტიკური შედეგით“ — ხარობდა თომას შაფი, ხოლო ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტმა რუმენიგემ დასძინა: „საფეხბურთო გაკვეთილი ჩაგვიტარეს, ვერც კი გავიხსენებ, „ბაიერნმა“ პირველი ტაიმი 0:3 ბოლოს როდის წააგო. შესვენებამდე ყოველმხრივ გვაჯობეს“. „ვერდერი“ რომ სხვა გუნდის დამარცხებით გამხდარიყო ჩემპიონი, „ბაიერნი“ ასე არ გამწარდებოდა. „მუსიკოსებმა“ კი სწორედ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ გამართეს ტაშ-ფანდური და ბუნდესსალათის ქაღალდის ასლითაც გაალიზიანეს მასპინძელი ქომაგები.

აილტონი მოედანზე თავჩაქინდრული რომ იჯდა, თომას შაფი ცდილობდა, კარგად შეეგრძნო წარმატების სიტკბო. იგი ფეხბურთელებთან ერთად კი არ ხტუნავდა, საჯარიმოს წინა ხაზთან იდგა და სივრცეს გაჰყურებდა. „განვლილ სეზონში მძიმე დღეებიც გვქონდა, რამაც ჩემს ნერვებს დაღი დაასვა, მაგრამ ახლა სიამოვნებით გავივლიდი იგივე გზას“ — აღმოხდა ჩემპიონ მწვრთნელს.

„ვერდერს“ ნახევარი საათი დასჭირდა ბაქია მეტოქის კარში სამი გოლის გასატანად.

წინ გამოსულმა კანმა ბურთი მოიხელთა, მაგრამ მოულოდნელად გაუვარდა და იგი კლასნიჩმა ცარიელ კარში შეაგორა.

შემდეგ სტუმრებმა კოხტა კომბინაცია გაითამაშეს და მიკუმ ბურთი მეკარეს ზურგსუკან, კარში ჩაუსვა, ხოლო აილტონმა მოულოდნელად შორიდან დარტყმა გადაწყვიტა და ოლივერ კანი მესამედ გააბითურა.

„ბაიერნი“ ოდნავაც კი არ ჰგავდა გუნდს, რომელიც „ვერდერს“ ოთხს გაუტანდა. მასპინძლები ჯახირობდნენ, ბრემენელთა დაცვა კი ძალიან კარგად ირამბაზეს. შალკეს მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმში მისცეს „კანაკორდების“ საშუალება და ჰოლანდიელმა კიდეც გაქვითა ერთი გოლი.

„ვერდერმა“ მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. „მუსიკოსებმა“ მეოთხე ჩემპიონობა მიითვალეს. მანამდე 1965, 1988 და 1993 წლებში მოუგიათ ბუნდესლიგა.

სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია სტუმრად „ჰერტასთან“ დორტმუნდელთა მარცხი. სებასტიან კელმა მეშვიდე წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და აქედან დაიწყო „შავ-ყვითელთა“ რბევა. ევერტონის ორი საპასუხო გოლი კი ოდნავ თუ მიესალბუნება „დორტმუნდის“ ქომაგთა გულებს.

ვაჟა ხუციშვილი

მეორე ბუნდესლიგა

XXXII ტური

აუე 2:1 დუისბურგი

0:1 აჰანფუფი (4), 1:1 შუბითიძე (54), 2:1 ტომმიოლერი (79)

აუე: ჰანელი, ნოვესკი (კრასელტი 74), ემერიხი, რ. ტრენკოფი, მ. ჰაიდრიხი, ჩიპევი (კურტი 46), ტომმიოლერი, რემი, კური, იუსკოვიაკი, შუბითიძე

ალენი 1:0 უნიონი

1:0 პაულინიუ (79)

უნიონი: ვულნიკოვსკი (გლინკერი 80), სანდმანი, კოუკი, პეიგი, ერნემანი, სირაძე, პიაცი, ოკეკე, ბრუნსი (კეიტა 80), ბაუმგარტი, სობოტჩიკი

ბურგჰაუზენი 2:0 რეგენსბურგი

1:0 შმიდტი (20პ), 2:0 რაიზინგერი (45)

მაინცი 2:0 უნტერჰაჩინგი

1:0 ტიურკი (4), 2:0 ბაბაცი (28)

ოსნაბრიუკი 3:4 ნიურნბერგი

0:1 შტეფული (9), 1:1, 2:1 ლენცე (39, 45), 2:2 ვიტეკი (71), 3:2 ჯაკა (72), 3:3 შტეფული (73), 3:4 კესლინგი (85)

კოტბუსი 1:1 ლიუბეკი

1:0 ბერჰალტერი (1), 1:1 ზანდი (63)

ფიურტი 1:2 არმინია

0:1, 0:2 დამაიერი (25, 30), 1:2 რუმანი (65)

კარლსრუე 0:1 ტრირი

0:1 რაკანელი (48)

ობერჰაუზენი — ალემანია

დღეს გაიმართება

ნიურნბერგი	32	18	7	7	67:40	61
არმინია	32	16	7	9	49:34	55
კოტბუსი	32	14	9	9	49:42	51
მაინცი	32	12	14	6	46:34	50
ალემანია	31	14	7	10	48:48	49
ობერჰაუზენი	31	13	8	10	45:43	47
აუე	32	12	10	10	42:40	46
დუისბურგი	32	12	8	12	48:44	44
ტრირი	32	12	8	12	46:48	44
ფიურტი	32	10	11	11	55:50	41
ბურგჰაუზენი	32	11	8	13	37:38	41
ალენი	32	11	7	14	33:44	40
უნტერჰახინგი	32	10	9	13	36:43	39
კარლსრუე	32	10	9	13	35:42	39
ლიუბეკი	32	9	11	12	45:53	38
რეგენსბურგი	32	9	11	12	37:48	38
უნიონი	32	8	8	16	40:48	32
ოსნაბრიუკი	32	7	6	19	33:52	27

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXX ტური

ვერდერი (მ) — ვატენშაიდი 4:2; პადერბორნი — კილი 3:1; იურდინგენი — მიუნსტერი 1:2; ქემნიცი — ესენი 1:4; ნოიმიუნსტერი — ბრაუნშვაიგი 2:2; შალკე (მ) — ჰამბურგი (მ) 2:3; ლაიპციგი — დინამო 1:3; კიოლნი (მ) — ზანკტ პაული 4:0. *დორტმუნდი (მ) — ვუპერტალი გადაიდო*

სამხრეთ რეგიონალლიგა

XXX ტური

კიკერსი — ელვერსბერგი 2:0; ზიგენი — აუგსბურგი 2:0; ერფურტი — ვეჰენი 2:0; შვაინფურტი — მაინცი (მ) 1:0; ზაარბრიუკენი — შტუტგარტი (მ) 1:1; აალენი — პფულენდორფი 1:1; ოფენბახი — ფოიხტი 0:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — ეშბორნი 1:0; ბაიერნი (მ) — ჰოფენჰაიმი 6:2

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ვერდერი	32	22	8	2	76:29	47	74	16	11	4	1	40:15	25	37	16	11	4	1	36:14	22	37
2	ბაიერნი	32	19	8	5	67:36	31	65	16	12	3	1	41:19	22	39	16	7	5	4	26:17	9	26
3	შტუტგარტი	32	17	10	5	49:21	28	61	16	8	7	1	26:12	14	31	16	9	3	4	23:9	14	30
4	ლევერკუზენი	32	17	8	7	65:37	28	59	16	11	1	4	41:18	23	34	16	6	7	3	24:19	5	25
5	ბოხუმი	32	14	11	7	52:35	17	53	16	10	5	1	27:5	22	35	16	4	6	6	25:30	-5	18
6	დორტმუნდი	32	15	6	11	54:46	8	51	16	11	3	2	35:15	20	36	16	4	3	9	19:31	-12	15
7	შალკე	32	12	10	10	44:40	4	46	16	6	7	3	24:15	9	25	16	6	3	7	20:25	-5	21
8	ჰამბურგი	32	13	6	13	45:59	-14	45	16	10	3	3	31:21	10	33	16	3	3	10	14:38	-24	12
9	ჰანზა	32	11	8	13	52:48	4	41	16	9	1	6	31:17	14	28	16	2	7	7	21:31	-10	13
10	ვოლფსბურგი	32	13	1	18	55:60	-5	40	16	11	0	5	37:24	13	33	16	2	1	13	18:36	-18	7
11	ფრაიბურგი	32	10	7	15	42:65	-23	37	16	10	2	4	32:25	7	32	16	0	5	11	10:40	-30	5
12	გლადბახი	32	9	9	14	36:45	-9	36	16	6	6	4	18:15	3	24	16	3	3	10	18:30	-12	12
13	ჰანოვერი	32	9	9	14	48:60	-12	36	16	5	6	5	27:26	1	21	16	4	3	9	21:34	-13	15
14	ლაუტერნი	32	11	5	16	37:57	-20	35	16	8	4	4	24:18	6	28	16	3	1	12	13:39	-26	10
15	ჰერტა	32	8	11	13	38:57	-19	35	16	5	6	5	23:23	0	21	16	3	5	8	15:34	-19	14
16	მიუნხენი	32	8	7	17	30:51	-21	31	16	5	3	8	15:24	-9	18	16	3	4	9	15:27	-12	13
17	აინტრახტი	32	8	5	19	32:49	-17	29	16	5	4	7	22:22	0	19	16	3	1	12	10:27	-17	10
18	კიოლნი	32	5	5	22	27:54	-27	20	16	5	2	9	18:23	-5	17	16	0	3	13	9:31	-22	3

„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ბომბარდირები

აილტონი (ვერდერი)	27
მაკაი (ბაიერნი)	23
მაქსი (ჰანზა)	20
ჰაშემიანი (ბოხუმი)	15
კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი)	15
ევერტონი (დორტმუნდი)	15

XXXIII ტური

15 მაისი

ᲕᲘᲚᲘ 0:1 ᲪᲘᲣᲠᲘᲩᲘ

0:1 იასარ რადვანი (62)

ᲘᲐᲜᲒ ᲑᲝᲘᲡᲘ 3:1 ᲫᲚᲐᲛᲐᲫᲚᲘ

1:0 ჰასლი (3), 1:1, 2:1 შაპუიზა (7, 63), 3:1 ლეანდრო (88)

ᲑᲐᲖᲔᲚᲘ	33	24	7	2	80:28	79
იანგ ბოისი	33	21	5	7	70:43	68
სერვეტი	33	15	7	11	58:54	52
სენტ გალენი	33	12	8	13	49:54	44
ციურიხი	33	12	7	14	49:47	43
გრასჰოპერი	33	12	5	16	60:68	41
თუნი	33	10	10	13	45:55	40
აარაუ	33	8	11	14	51:63	35
ქსამაქსი	33	8	6	19	41:58	30
ვილი	33	6	8	19	34:67	26

ᲩᲔᲚᲔᲜᲯᲚᲘᲗᲐ. XXIX ᲢᲣᲠᲘ

ბულე — კიასო 1:1; კონკორდია — მეირინი 1:1; ლუცერნი — ბადენი 2:1; შაფჰაუზენი — ბელინცონა 2:0; ვოლენი — სიონი 2:2; დელემონი — კრინსი 1:3; ივერდონი — ვინტერთური 2:1. შოდე ფონი — ვადუცი გადაიდო

ᲡᲚᲝᲕᲐ�კᲔᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲰᲔᲢᲠᲭᲐᲚᲙᲐ 2:0 ᲚᲘᲮᲐᲢᲕᲝᲠᲪᲔ

1:0 კრეიჩი (51), 2:0 მიკულიჩი (77)

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ 1:3 ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘ�კᲝᲡᲘ

0:1 პაპადოპულოსი (3), 1:1 ჯოვანი (65), 1:2, 1:3 კონსტანტინუ (68, 80)

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXXIII ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲘᲐᲯᲡᲘ 2:0 ᲑᲠᲔᲓᲐ

1:0 სნეიდერი (10), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (43)

ᲣᲢᲠᲔᲮᲢᲘ 2:0 ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ

1:0 ცვაანცვიკი (44), 2:0 კალაბრო (51)

ᲖᲕᲝᲚᲔ 0:0 ᲤᲘᲚᲑᲣᲠᲒᲘ

ᲜᲐᲘᲛᲔᲒᲔᲜᲘ 1:1 ᲕᲝᲚᲔᲜᲓᲐᲛᲘ

0:1 ესაიასი (44), 1:1 ჰერსი (57)

ᲐᲡᲕ ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ 3:2 ᲓᲔᲜ ᲰᲐᲐᲒᲘ

1:0 პარკი (30), 2:0 კეუმანი (56), 2:1 კასტელენი (63), 2:2 სტროევე (75), 3:2 ბუმა (81)

ᲠᲝᲖᲔᲜᲓᲐᲚᲘ 1:4 ᲤᲔᲘᲔᲜᲝᲠᲓᲘ

0:1 კუიტი (18), 1:1 იუსუფი (20), 1:2 ბუფელი (37), 1:3 პაუვე (74), 1:4 შმოლარეკი (80)

ᲕᲐᲚᲕᲐᲘᲙᲘ 3:3 ᲤᲔᲜᲢᲐ

1:0 ვასკონკელოსი (25), 1:1 ნკუფო (41), 1:2 კრისტენსენი (56), 1:3 ა. რამზი (61), 2:3 ვან დიემენი (67), 3:3 პეტროვიჩი (90)

ᲠᲝᲓᲐ 2:0 ᲕᲘᲢᲔᲡᲘ

1:0 ვან დესელი (6), 2:0 კრისტიანო (28)

ᲰᲔᲠᲔᲜᲕᲔᲜᲘ 1:0 ᲐᲚᲙᲛᲐᲐᲠᲘ

1:0 სიბონი (80)

ᲐᲘᲐᲯᲡᲘ	33	24	5	4	74:29	77
ᲰᲡᲕ	33	22	5	6	88:28	71
ფეიენოორდი	33	19	8	6	64:37	65
ჰერენვენი	33	17	7	9	45:33	58
ალკმაარი	33	17	6	10	63:38	57
როდა	33	14	10	9	58:39	52
ტილბურგი	33	13	10	10	45:49	49
უტრეხტი	33	13	7	13	42:49	46
ტვენტე	33	14	3	16	54:53	45
ბრედა	33	11	10	12	53:52	43
ვალვაიკი	33	10	10	13	44:50	40
როზენდალი	33	10	10	13	33:45	40
გრონინგენი	33	9	9	15	36:51	36
ნაიმეგენი	33	10	4	19	43:58	34
დენ ჰააგი	33	8	7	18	32:60	31
ზვოლე	33	5	11	17	26:60	26
ვიტესი	33	3	16	14	36:56	25
ვოლენდამი	33	6	6	21	29:78	24

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXXVI ᲢᲣᲠᲘ

ოსი — იგლსი 1:4; აპელდორნი — ემენი 3:0; ტელსტარი — დორდრეხტი 2:0; ეინდჰოვენი — სპარტა 0:3; ჰერაკლესი — ჰელმონტი 3:3; ვეენდამი — გრაადსხაპი 3:3; კამბური — დენ ბოსხი 1:2; ექსელსიორი — სიტარდი 2:1; მაასტრიხტი — ვენლო 2:1

ექსელსიორი	35	22	7	6	69:38	73
დენ ბოსხი	35	21	8	6	82:46	71
სპარტა	36	21	6	9	76:43	69
ჰერაკლესი	35	18	10	7	69:42	64
ჰელმონდი	35	19	7	9	65:41	64
გრაადსხაპი	35	17	10	8	62:43	61
ვენლო	35	19	4	12	74:58	61
ემენი	35	16	10	9	60:51	58
იგლსი	35	15	8	12	79:61	53
აპელდორნი	35	12	9	14	58:53	45
ოსი	35	12	8	15	55:58	44
ტელსტარი	35	12	8	15	52:58	44
ჰაარლემი	35	9	9	17	40:63	36
ვეენდამი	35	7	15	13	44:68	36
დოორდრეხტი	35	5	14	16	31:58	29
მაასტრიხტი	35	6	11	18	33:68	29
კამბური	35	6	10	19	35:64	28
ეინდჰოვენი	35	5	12	18	36:66	27
სიტარდი	35	3	10	22	35:76	19

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

I ᲚᲘ�გᲐ. XXII ᲢᲣᲠᲘ

ლეჩნა — ლეხი 1:2; ლეგია — პლოცკი 2:0; სვიტი — პოლონია 2:1; ოდრა — პოლკოვიცე 0:1; ვიძევი — გურნიკი 1:2; გროცლინი — ამიკა 1:1; კატოვიცე — ვისლა 0:2

ვისლა	22	18	1	3	64:26	55
ლეგია	22	15	5	2	41:14	50
ამიკა	22	12	5	5	39:23	41
გროცლინი	22	10	6	6	50:28	36
პლოცკი	22	9	7	6	37:34	34
ლეხი	22	8	6	8	38:31	30
გურნიკი	22	7	8	7	23:28	29
ოდრა	22	8	4	10	23:32	28
ლეჩნა	22	8	3	11	20:35	27
კატოვიცე	22	6	5	11	16:36	23
პოლონია	22	5	7	10	22:34	22
სვიტი	22	4	6	12	18:36	18
ვიძევი	22	3	7	12	23:36	16
პოლკოვიცე	22	4	4	14	14:35	16

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲗᲐ. XXXIV ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲔᲜᲩᲘᲠᲘᲡᲘ 1:1 ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ

ᲒᲘᲛᲐᲠᲐᲔᲗᲘ — ᲞᲝᲠᲢᲘ 0:1 ნიკულაე (72), 0:2 ჟოაუ პინტე (82)

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲐ 4:1 ᲐᲛᲐᲓᲝᲠᲐ

1:0 პაულუ სერგიუ (3), 2:0 მარსელო (9), 3:0, 4:0 პაულუ ადრიანუ (30პ, 54), 4:1 ჟულიო სეზარი (85)

ᲑᲔᲚᲔᲜᲔᲜᲡᲔᲨᲘ 0:2 ᲑᲠᲐᲒᲐ

0:1 ფონსეკა (44), 0:2 სოდერსტრიომი (50)

ᲜᲐᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ 4:0 ᲠᲘᲣ ᲐᲕᲔ

1:0, 2:0 როსატო (48, 74), 3:0 დიეგუ (86), 4:0 ლუზადა (90)

ᲛᲝᲠᲔᲘᲠᲘᲜᲔᲡᲘ 3:1 ᲐᲚᲕᲘᲠᲙᲐ

1:0 ტ. რიბეირუ (55პ), 2:0, 3:0 ფილიუ (58, 59), 3:1 ვარგასი (85პ)

ᲟᲘᲚ ᲕᲘᲡᲔᲜᲢᲔ 3:0 ᲑᲔᲘᲠᲐ ᲛᲐᲠᲘ

1:0, 2:0 ჟ. ფერეირა (7, 19), 3:0 დუა (39)

ᲑᲝᲐᲕᲘᲨᲢᲐ 2:1 ᲛᲐᲠᲘᲢᲘᲛᲣ

1:0 რიკარდუ სოუზა (17პ), 2:0 კაფუ სემედუ (47), 2:1 შაინიუ (55)

ᲞᲝᲠᲢᲣ 3:1 ᲤᲔᲠᲔᲘᲠᲐ

0:1 კეირუში (15), 1:1, 2:1, 3:1 მაკკარტი (18, 51, 69)

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣ	34	25	7	2	63:19	82
ბენფიკა	34	22	8	4	62:28	74
სპორტინგი	34	23	4	7	60:33	73
ნასიონალი	34	17	5	12	56:35	56
ბრაგა	34	15	9	10	36:38	54
რიუ ავე	34	12	12	10	42:37	48
მარიტიმუ	34	12	12	10	35:33	48
ბოავიშტა	34	12	11	11	32:31	47
მორეირენსე	34	12	10	12	33:33	46
ლეირია	34	11	12	11	43:45	45
ბეირა მარი	34	11	8	15	36:45	41
ჟილ ვისენტე	34	10	10	14	43:40	40
აკადემიკა	34	11	5	18	40:42	38
გიმარაეში	34	9	10	15	31:40	37
ალვერკა	34	10	5	19	33:49	35
ბელენენსეში	34	8	11	15	35:54	35
ფერეირა	34	8	4	22	27:53	28
ამადორა	34	4	5	25	22:74	17

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXXIV ᲢᲣᲠᲘ

მადეირა — შავეში 0:0; ლეიშოეში — ვარზიმი 1:1; ოვაირენსე — პენაფიელი 0:0; მარკუ — პორტიმონენსე 0:0; სეტუბალი — ფერეირენსე 1:0, მაია — ნავალი 2:0; ავეში — კოვილია 0:3; ეშტორილი — სალგეირუში 2:1; სანტა კლარა — ფელგეირაში 1:2

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

სეტუბალი	34	19	10	5	68:41	67
ეშტორილი	34	20	7	7	63:40	67
პენაფიელი	34	17	10	7	54:35	61
ვარზიმი	34	16	10	8	44:36	58
სალგეირუში	34	13	8	13	47:46	47
ნავალი	34	12	10	12	46:42	46
მაია	34	13	7	14	49:56	46
ფელგეირაში	34	13	6	15	40:40	45
ოვაირენსე	34	11	12	11	51:52	45
ავეში	34	13	6	15	42:53	45
შავეში	34	11	11	12	37:45	44
ფეირენსე	34	10	12	12	47:46	42
სანტა კლარა	34	11	9	14	41:44	42
ლეიშოეში	34	9	15	10	42:46	42
პორტიმონენსე	34	8	15	11	34:37	39
მარკუ	34	10	8	16	41:56	38
კოვილია	34	8	5	21	38:55	29
მადეირა	34	4	15	15	39:53	27

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲗᲐ. XXXIII ᲢᲣᲠᲘ

ანკარაგიუჯიუ — ადანა 1:2; ელაზიგი — გაზიანთეფი 1:2; მალათია — კონია 1:3; ბეშიქთაში — სებასტი 0:2; დიარბაქირი — ბურსა 0:3; ისთანბული — გენჩლერი 3:0; სამსუნი — რიზე 2:1; დენიზლი — ფენერბაჰჩე 0:4; ტრაბზონი — გალათასარაი 2:4

ᲤᲔᲜᲔᲠᲑᲐᲰᲩᲔ	33	23	7	3	80:37	76
ტრაბზონი	33	22	5	6	58:36	71
ბეშიქთაში	33	18	8	7	65:44	62
დენიზლი	33	17	4	12	51:39	55
გაზიანთეფი	33	17	3	13	48:50	54
გალათასარაი	33	14	9	10	53:46	51
სამსუნი	33	13	7	13	46:46	46
ანკარაგიუჯიუ	33	13	6	14	46:50	45
კონია	33	10	14	9	53:52	44
გენჩლერი	33	12	7	14	54:50	43
დიარბაქირი	33	12	7	14	43:50	43
მალათია	33	10	12	11	47:38	42
სებასტი	33	10	9	14	42:51	39
რიზე	33	12	3	18	36:53	39
ისთანბული	33	10	8	15	44:45	38
ბურსა	33	9	10	14	39:40	37
ელაზიგი	33	5	7	21	36:76	22
ადანა	33	5	4	24	34:72	19

ელექტრონული ბიბლიოთეკა

OH, MY GOD!

ბიძია სტიოპა, თუ მიცანი?

„ო, მაი გად“ — სტუდენტური დერბის ყურებისას ამ სიტყვებს გუ- შინ ხშირ-ხშირად იმეორებდა ერთი გამორჩეული აღნაგობის ყმაწვილ- კაცი. ვერის ბაღის დარბაზის ვი- წრო რიგებში მჯდომი მთლად კო- მფორტულად ვერ გრძნობდა თავს, გრძელ ფეხებს ხეირიანად ვერ შლი- და, თუმც მოედანზე მიმდინარე ამ- ბები აინტერესებდა და მატჩსაც მო- თმინებით ბოლომდე უყურა. მოსეი- რეს აოცებდა დუნე, მოსაწყენი ბუ- რთაობა, არადა, რამდენიმე წლის წინ ისიც ამ მოედანზე თამაშობდა და „ვერისბაღული“ კალათბურთის ანბანას ეუფლებოდა. ვინ დააცა- ლა? ადრევე გაიძახეს ევროპაში, მე- რე კი საკალათბურთო „ედემში“, ნბა-შიც ამოჰყო თავი.

ჩვენი გმირის ვინაობა თავიდანვე იმიტომ „დაგიმალეთ“, ვერის ბაღის დარბაზში რომ შედიოდა, მაშინაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. ვეს- ტიბიულში რომ შევხვდი, მისალმება- მოკითხვის შემდეგ მითხრა, კაცუ- რად, დარბაზში არავის უთხრა ნიკა ცქიტიშვილი აქააო, მაინტერესებს, თუ მიცნობენო. ცქიტიშვილს რამ- დენიმე ნათესავ-მეგობარი ახლდა, აქა- ური მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელი- აც გვერდში ჰყავდა და ამ „ამა- ლით“ შეაბიჯა დარბაზში.

მოაბიჯებს ცქიტიშვილი, ვითომც არაფერი, მასავით მაღალს აქ ბევრს გაუვლია. ხალხი თსუ — სტუ-ს უყუ- რებს, „სკიტას“ ვერავინ ამჩნევს. სა- კმარისი იყო, ერთს მისალმებოდა და... ტრიბუნებს ელვისებურად მოედო: ნა- ხე, ბიჭო ის „ცქიტო“ არაა? მალე ნბა-ელის გარშემო ცოცხალი კედე- ლი აღიმართა. მნახველთა ნაკადი არ წყდებოდა. ვინ რას ეკითხებოდა, ვინ რას, ზოგი მალევე დაეხსნებოდა, ზო- გიც მთისა და ბარისას გაუბამდა...

ყველა რომ მოისიყვარულა, თამა- შის დიდი ნაწილი გალეული იყო. მოედანზეც ჰყავდა ერთი-ორი დო- სტი, მაგრამ მათი ნახვა მატჩის ბო- ლოსთვის გადადო, შესვენებისას რომ გასახდელში ჩავიდე, ეგებ ლამაზი არ გამოვიდესო. შეცვლილა კაცი...

„ალბათ ოთხი კვირა დავრჩები, მერე ისევ დენვერში წავალ. საზა- ფხულო ლიგები იწყება — გვეუბ- ნება ნიკა — თავიდან მითხრეს, ორ კვირაზე მეტით ვერ გაგათავი- სუფლებთო, მაგრამ არ დავიშალე, 4 წელია, სამშობლოში არ ვყოფი- ლვარ, 2 კვირა, შანსი არაა, არ მეყოფა ნათესავ-მეგობრების მოსა- ნახულებლად-მეთქი. რა უნდა ეთქვათ, გამომიშვეს, თან დააყო- ლეს, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ რამე შარში არ გაეხვიოო...“

ამ დროს მოედანზე ვიღაცამ „მა- ლაკო“ გააკეთა და ნიკასაც მორიგი „ო, მაი გად“ დასცდა... ოღონდო ვერის ბაღისა და ნბა-ს კალათბუ- რთი ერთმანეთს არ შემადარებინო და რაც გინდა, ის მკითხეო.

რა უნდა ჰკითხო, როცა ლიუ- ბლიანაში, ტრევიზოსა თუ დენვე- რში ყოფნისას თითქმის ყოველ მე- ორე კვირას ელაპარაკებოდი, სა- ნამ „ნაგიტსის“ მწვრთნელ ჯეფ ბზ- დელიკს ერთ მშვენიერ დღეს თა- ვში არ დაარტყა და ღრმა სათა- დარიგოებში არ ჩარიცხა ჩვენი ვარსკვლავი.

„ბზდელიკს ახლაც რომ ჰკითხო, ყველაზე მონდომებული ვინაა შენს გუნდშიო, დაუფიქრებლად გიპასუ- ხებს, „სკიტაო“. ათასჯერ შეგაქებს. მაგრამ მოედანზე გასვლის დრო რომ დგება, ყველაფერი ავიწყდება. ვერ გავუგე, რა უნდა, მის გარდა „დენ- ვერში“ ყველას ძალიან ვუყვარვარ. წესით, ხომ უნდა გაუშვა ის კალა- თბურთელი, რომელსაც არაფერში არ იყენებ, მაგრამ კლუბის ხელმძღ- ვანელები არც ფიქრობენ ამაზე. წა- მოსვლის წინ გუნდის პრეზიდენტი კიკი ვანდევეიჯი ყველას სათითა- ოდ გვესაუბრა, კიდევ ერთხელ გა- მომიცხადა დიდი ნდობა, იცოდე, მო- უთმენლად გელოდებით, შენი იმედი გვაქვს სამომავლოდო.“

— ამ ბოლო დროს ხშირად ახ- სენებდი სხვა გუნდში გადასვლას...

— ასეთ მდგომარეობაში აბა, რო- გორ გავჩერდე? არადა, გაშვებაც რომ არ უნდათ! ვნახოთ, ეგებ გაა- თავისუფლონ ბზდელიკი, ის ხომ თავი დროზე იმისთვის მოიყვანეს გუნდში, რომ ჩვენთვის, ახალგაზ- რდებისთვის მოეხედა, მაგრამ ის ადგა და კარმელო ენტონისა და რამდენიმე ვეტერანის შემატების შემდეგ ახალგაზრდები მიგვატო- ვა, პლეი ოფში გასვლის პერსპექ- ტივა დაინახა და ბოლომდე მია- წვა ამ საქმეს. სწორედ მაშინ და- მსვა სკამზე, როცა მეგონა, აქაურ კალათბურთს ალღო ავუღე-მეთქი.

— ეგ უკვე წარსულია, ეგებ რამე სასიხარულო გაგეხსენებინა...

— იმაზე სასიხარულო წუთები რა უნდა ყოფილიყო, დრაფტზე მე-5 ნო- მრად რომ ამირჩიეს. ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი ერთ-ერთი მატჩი გახლდათ, რომელიც 25 ქულით მო- ვიგეთ, ბზდელიკმა კი დასრულება- მდე წუთით ადრე შემიშვა.

ნბა-ს მოთამაშე ვერის ბაღის ტრიბუნაზე!
ნიკა ცქიტიშვილი მშობლიურ ფიცარნაგს გადაჰყურებს

მურაზ ლომჯავაჯანიძის ფოტო

— მოედანს გარეთ როგორი კა- ცია ეგ ბზდელიკი?

— ურთიერთობაში არაფერი უშ- ავს, მაგრამ ისე გამამწარა, საე- რთოდ არ მსურს მასთან ახლობ- ლობა.

— და ვის ეახლობლები?

— კრის ანდერსენი ჩემი ძმაკა- ცია, ნენეც. დანარჩენ დენვერელე- ბთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. საერთოდ, „დენვერი“ ძალი- ან მეგობრული გუნდია, სულ მი- სვლა-მოსვლაში ვართ. ვოშონ ლე- ნარდი გამოდგა ძალიან მაგარი ბი- ჭი. გვიან დავუმეგობრდი, ახლა კი ძლივს დავშორდით ერთმანეთს.

— მაშ, ზაზა ფაჩულიას გუნდს რა დაემართა? ორლანდოელები მო- ედანს გარეთ თითქმის არ ვკონ- ტაქტობთო, გვითხრა...

— ეგ მართლაც უცნაური ამბა- ვია, ორლანდოელებს რა სჭირთ, ვერ გამიგია. ზაზასთან რომ ვიყა- ვი, თავადაც გაოცებული დავრჩი, ერთმანეთთან საერთოდ არა აქვთ ურთიერთობა. ყველა თავის გემო- ზე ატარებს დროს.

— საქართველოს ნაკრებს იტა- ლიაში თუ მიჰყვები ამხანაგურ ტურნირზე?

— აქედან რომ დენვერში ჩა- ვალ, 2 კვირით „სან ანტონიოში“ მიშვებენ ჯორჯ გერვინთან სავარ- ჯიშოდ, მერე საზაფხულო ლიგა- ში ვითამაშებ და დაახლოებით 15 ივლისისთვის გავთავისუფლდები. მერე იტალიაშიც ჩავალ, ოღონდ სანამ ნაკრებს შევუერთდები, ტრე- ვიზოს ტრადიციულ კემპში მივი- ღებ მონაწილეობას კრის ანდერ- სენთან ერთად.

— აქ ხომ არ აპირებ ვარჯიშს, აგერ, ბასკოელებს რომ დაჰპირდი, ხვალ მოვალ თქვენთანო. ზეგ ფი- ნალური სერია იწყება, თამაშზეც ხომ არ ფიქრობ?

— რა ვიცი, რა ვიცი...

ამასობაში სტუ-მ დაძაბულ ფინა- ლში დაამარცხა თსუ და ცქიტიშვი- ლიც დაბლა, მოედანზე დაეშვა. სტუ- ში მან მეგობრები მოინახულა, თუმც მერე ზღვა ხალხი შემოეხვია. ქარ- თული საკალათბურთო სამყარო ნი- კას ამბებს კითხულობდა. სანამ გა- რეთ გავიდოდა, ცქიტიშვილმა ვერის ბაღის დარბაზის ერთგვარი სიმბო- ლო, ბიძია „სტიოპა“ მოინახულა, კა- რში კი მას ეროვნული ნაკრების მწ- ვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩიც შე- მოხვდა. „სკიტო“? — თვალი ააყო- ლა ბატონმა დრაჟენმა ცქიტიშვილს, დამტვრეული რუსულით რაღაცაზე შეუთანხმდა და დარბაზში დუბლიო- რთა ფინალის, „დინამო“ — „რუ- სთავის“ საყურებლად შევიდა.

ცქიტიშვილი კი ისევ ახლობლე- ბმა გამოიმწყვდიეს, ვინც კი იმ გზა- ზე გაივლიდა, ყველა ნიკას ამბავს კითხულობდა...

ირაკლი პერტაია

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. მესამე ადგილისთვის

ზვიად ბაბიაშვილის სტუ და გიგი ნაცვლიშვილის თსუ მესამე ადგილისთვის დავობენ

მურაზ ლომჯავაჯანიძის ფოტო

სტუ 1:0 თსუ

9 მაისი. ვერის ბაღი

სტუ 68:65 თსუ

25:23 15:14 14:18 14:10

სტუ: ნიკოლაძე (6), ხეცურიანი (15), შანიძე (2), ბაბიაშვილი (15), ოგანესიანი (6); დავითულიანი (9), მარკოიშვილი (11), გაგნიძე (2), ახალკაცი (2), მიქაძე

თსუ: თორთლაძე (11), მაისურაძე (3), ორმოცაძე (14), ნაცვლიშვილი (15), შენგელია (13); აბრამიძე (5), ვეფხვაძე (2), ფანჩულიძე (2), სანიკიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი; კომისარი: როლანდ გელოვანი

ბათუმმა ბასკო ვერ მიიღო

„ჩემპიონები თბილისში უნდა გა- ვხდეთ“ — თქვა „ბასკოს“ მთავა- რმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდე- ლაკმა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მისი გუნდი ფინალური სერი- ის თავის წილ მატჩებსაც თბილი- სში უმასპინძლებს.

ბათუმში სიმშვიდემ კი დაისა- დგურა, მაგრამ ახლა იქ პოლი- ტიკურ საკითხებზე და მმართვე- ლობის რეორგანიზაციაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე სპორტზე და კერძოდ, კალათბურთზე. საიმისო თანხა, „ბასკოს“ თბილისელ მო- თამაშეებს ბათუმურ სასტუმრო- ში ეცხოვრათ და სხვა საარსებო პირობებით უზრუნველყოფილიყ- ვნენ, ავტონომიური რესპუბლი- კის ვერც ერთ სახელმწიფო სტ- რუქტურასა თუ კერძო ორგანი- ზაციაში ვერ გამოინახა — „ბა- სკო“ ფინალური სერიის საწყის ორ მატჩში 11 და 12 მაისს თბი- ლისის „დინამოს“ ვერის ბაღში უმასპინძლებს.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ მოხერხდა ბათუმში თამაში. კლუ- ბის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ბათუმში ისეთი ხალხი ვერ გამონახა, ჩვენი გუ- ნდის ერთი კვირით შენახვას რომ მოახერხებდა. სერიის საწყის ორ მატჩში „დინამოს“ ვერის ბაღში ვუმასპინძლებთ, მერე კი, თუ მე- ხუთე გადამწყვეტი შეხვედრის გა- მართვა გახდება საჭირო, ეგებ მა- შინ მაინც მოვახერხოთ ბათუმში თამაში. ასეთ შემთხვევაში ხომ ერთი მატჩის მასპინძლობა იქნე- ბა საჭირო, რასაც ალბათ მოვა- ხერხებთ.“

ჩვენ კი დავძენთ, რომ ფინა- ლურ სერიაში გვარიანი შესვენე- ბაა მეორე მატჩის შემდეგ, რო- მელიც 12 მაისს ჩატარდება. ვე- რის ბაღში თურმე სამეჯლისო ცე- კვების წარმოდგენა უნდა გაიმა- რთოს და ფინალური სერია 19 მა- ისს განახლდება.



ნეტავ ბათუმში ერთხელ მაინც გვათამაშა!

მურაზ ლომჯავაჯანიძის ფოტო

ირაკლი პერტაია

2004 NBA Playoffs

მარტო აღარა ხარ, მორჩა! ინდიანა და ანა-ბანა

6 მაისი

აღმოსავლეთი

დეტროიტი 2:0 ნიუ ჯერსი

დეტროიტი 95:80 ნიუ ჯერსი

დეტროიტი: ბილაფსი (28 ქულა, 13 პასი), ჰამილტონი (28), პრინსი (2), რ. ვოლესი (15), ბ. ვოლესი (8 ქულა, 11 მოხსნა); უილიამსონი (11), ოქურო (2), ჰანტერი (1), ჰემი, ჯეიმსი, კემბელი

ნიუ ჯერსი: კიდი (8 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), კიტლზი (6), ჯეფერსონი (19), მარტინი (19), კოლინზი (8 ქულა, 10 მოხსნა); როჯერსი (11), უილიამსი (5), ჰარისი (4), პლანინიჩი

„დეტროიტს" სანამ გადაეყრებოდა, „ნიუ ჯერსი" ისე დაპარპაშებდა აღმოსავლეთში, როგორც 60-იან წლებში დღიურად 70-80 ქულის მკეთებელი მონსტრი უილტ ჩემბერლენი. აღმოსავლელებთან პლეიოფობაში „ბადეებს" ზედიზედ 14 გამარჯვება მიეთვალათ და აქედან 4 მოგება 0 მარცხის წილ შარშან სწორედ „დეტროიტს" წაჰგლიჯეს კონფერენციის ფინალში.

ვიცეჩემპიონებმა ახლალა იგრძნეს, რომ მისისიპის აქეთა მიწებზე მარტონი არ არიან და მეორე მარცხით კუდდამწვრებს სერიოზულად დაფიქრება და შესაძლებლობების გადახედვა მოუწევთ.

„დეტროიტმა" მეორე თამაში უკანახაზელებით მოუგო — რიჩარდ ჰამილტონმა და ჩონსი ბილაფსმა ჯამში თამაშიდან 33-ჯერ ისროლეს, 18 ჩააგდეს და 28-28 ქულას გამოვიდნენ. ამასთან ბილაფსმა კარიერაში უმეტესი, 13 პასიც დაარიგა. ამათ საპირისპიროდ კი „ნიუ ჯერსის" დაბლები — ყოჩი ჯეისონ კიდი და მისი ამფსონი კერი კიტლზი 22 სროლიდან 17-ის გაფუჭების შემდეგ ოდენ 14 ჯამურ ქულას აკოწიწებენ.

კიდს სროლა თუ არა, პასები მაინც გასდიოდა და „ნიუ ჯერსიც" პირველ ტაიმში თავს მშვიდად გრძნობდა, 12 ქულითაც კი იგებდა და როცა სტუმრებმა იფიქრეს, ეგ არი, თამაში მოვიგეთ და სერიაში ანგარიში გავათანაბრეთო, იქ უწია მეტოქის მსახვრალმა მარჯვენამ. „დეტროიტმა" მესამე მეოთხედში მხოლოდ 11 ქულა ჩააგდებინა „ნეთსს" და მესამე მეოთხედში 4 ქულით გაექცა, შემდეგ კი შტურმით აიღო „ჯერსის" ფარი.

„დეტროიტი" მაინც ფრთხილობს და ამ ორ საწყის გამარჯვებაზე ოცნების კოშკებს არ აშენებს. „ჯერ განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია — თავმდაბლობს ჩონსი ბილაფსი — საჩოგბურთო ტერმინებით ჩვენ მხოლოდ შევინარჩუნეთ საკუთარი მოწოდება."

7 მაისი

ინდიანა 2:0 მაიამი

ინდიანა 94:80 მაიამი

ინდიანა: ტინსლი (1), მილერი (19), არტეტა (20), ონილი (17), ფოსტერი; ჯონსონი (9), ჯონსი (8), ჰარინგტონი (8), ბენდერი (5), კროშერი (3), ჰოლარდი (1), ანდერსონი

მაიამი: ვეიდი (19), ჯონსი (9), კ. ბატლერი (4), ოდომი (19 ქულა, 12 მოხსნა), გრანტი (7); ალენი (8), ალსტონი (5), ჰეისლიმი (5), რ. ბატლერი (4)

ამ სერიას ისეთი პირი უჩანს, „ინდიანა" „მაიამისაც" ისევე იოლად მოინელებს, როგორც მის წინამორბედ „ბოსტონს". ლარი ბერდის ლაშქარი ახალი მიწების დასაპყრობად დაძრულა და გზად შემთხვევით შეფეთებული ეს მოთარეშე რაზმები ვერ შეაფერხებენ.

„ინდიანა" ახლაც განიერი ბეჭებით მიარღვევდა მეტოქეთა რიგებს და „მაიამი" იმასღა ცდილობდა, კატასტროფულად არ ჩამორჩენოდა. „ინდიანამ" მაინც დაამყარა ნბა-ს ყველა დროის რეკორდი — ზედიზედ მეექვსე საპლეიოფო თამაში მოიგო 10 და მეტქულიანი სხვაობით.

ახალგაზრდულად გაილაღა „ინდიანას" ყველა დროის საუკეთესო მოთამაშემ, სიბერეში გადადგომისას კი კლუბში თილისმად დარჩენილმა რეჯი მილერმა. ოქროსხელება რეჯი 38 წლისა ბომბებს ველარ ისვრის და ასაკმა სათამაშო დროც შეუზღუდა, მაგრამ 18 წუთში 19 ქულის გაკეთება მაინც მოახერხა.

დასავლეთი

მინესოტა 1:1 საკრამენტო

მინესოტა 94:89 საკრამენტო

მინესოტა: კასელი (19), ჰასელი (12), სპრიუელი (15), გარნეტი (28 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება), ჯონსონი (13 მოხსნა); ჰოიბერგი (13), მარტინი (3), ოლოვოკანდი (2), ტრენტი (2)

საკრამენტო: ბიბი (10), კრისტი (15), სტოიაკოვიჩი (26), ვებერი (21), დივაცი (4); მილერი (11 ქულა, 11 მოხსნა), პილერი (2)

სულ სხვაა დასავლეთი. აქ ძლიერებს ბევრად მეტი ჯაფა ადგათ და ხშირად ვერც ამტკიცებენ თავიანთ სიძლიერეს. აღმოსავლეთში რომ ეცხოვრათ, მინესოტელი „მგლები" ინდიანელებზე არანაკლებ ავტოკრატიას დაამყარებდნენ, მაგრამ დასავლეთში ძლივს გადაურჩნენ მეორე შინაურ მარცხს.

„საკრამენტოს" „მინესოტაზე" მეტი საპლეიოფო გამოცდილება აქვს და აკი წაართვა მეტოქეს მოედნის უპირატესობა — პირველივე მატჩი მოიგო მინეაპოლში. მეორესაც იგებდა — დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 10 ქულით იყო წინ, მაგრამ საკუთარი ტყავიდან ამომხტარმა „მგლებმა" ეს თამაში ცოცხალი თავით აღარ დაანებეს.

მასპინძლების ბედად, ბოლო წუთებზე თავი გაიგიჟა პლეი ოფში დერვიშივით აღმა-დაღმა ნავალმა სემ კასელმა, რომელმაც დარჩენილ დროში ამ ათი ქულიდან რვა პირადად ამოიღო.

კოტე ყორშია



კევინ გარნეტი „მინესოტას" გადამრჩენ სემ კასელს ეფერება

ყველა ლათინელის გზა რომში მიდის



კარლოს მოია

მასტერსის სერია
რომი. თიხნარი
საპრიზო 2,425 მილიონი

მესამე წრე.

კარლოს მოია (6, ესპანეთი) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) 6:4, 3:6, 6:4; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:5)

მეოთხედფინალი

დავიდ ნალბანდიანი (5, არგენტინა) — **ვინს სპედია** (აშშ) 6:4, 6:3; **მოია** — **პაველი** 6:1, 6:2; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — **ნიკოლას მასუ** (8, ჩილე) 6:1, 7:5; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — **ირჟი ნოვაკი** (12, ჩეხეთი) 6:4, 6:2

ნახევარფინალი

ნალბანდიანი — კოსტა 6:7 (4:7), 6:1, 6:4; მოია — საბალეტა 6:3, 6:4

თუკი რომაული მასტერსობის საწყის ეტაპებზე ტიბრისპირეთში ესპანურის გარდა სხვაენობრივი ჟრიამულიც ისმოდა, ტურნირის ბოლოსკენ კორტს მხოლოდ ესპანურად მეტყველნი შემორჩნენ. ნახევარფინალებში ესპანელებსა და არგენტინელებს მოუხდათ დავა და ფინალადაც ისევ ესპანურარგენტინული შეხლა გვერგო.

დავიდ ნალბანდიანის ფინალურ გარჯებს მაინცდამაინც დაჩვეულნი არა ვართ — სატიტულო მატჩში მან ბოლოჯერ შარშან ოქტომბერში, შვეიცარიის ღია პირველობაზე ითამაშა. რაგინდარა ტიტული კი სულაც 2002 წლის ანუ იმავ ბაზელურ ტურნირზე მოგების შემდეგ ველარ უშოვია.

თუმცა გასულ კვირაში ის სანაქებოდ გაირჯა და ალბერტო მანსინის შემდეგ გახდა პირველი არგენტინელი, რომაული მასტერსობის ფინალში გასვლა რომ შეძლო. მანსინიმ იქ 1989 წელს იჩემპიონა, ხოლო ორი წლის მერე გადამწყვეტ მატჩში დამარცხდა.

რაც შეეხება კარლოს მოიას, იგი წლეულს უკვე მეხუთე ფინალში გავიდა. ორჯერ — ჩენაისა და აკაპულკოში მან იმარჯვა კიდეც, ხოლო სიდნეისა და ბუენოს აირესში, ვაგლახ, სხვებმა იმარჯვეს. ნალბანდიანის ძლევის შემთხვევაში ის წლეულს სამ-სამი ტიტულის მომხვეჭ როჯერ ფედერერსა და დომინიკ ჰრბატის გაუტოლდება, ხოლო მოგებული მატჩების რაოდენობით სულაც პირველ ადგილზე გავა. ფინალამდე ის — ენდი როდიკის დარად — 32 გამარჯვებას ითვლიდა. საკუთრივ თიხნარზე კი მას ბადალი უკვე არა ჰყავს — წლეულს ნათამაშები 24 თიხნარმატჩიდან მეტოქეებს მხოლოდ 4 დაუთმო.

LADIES GERMAN OPEN ბერლინი. თიხნარი საპრიზო 1,3 მილიონი $

მეოთხედფინალი

კაროლინა სპრემი (ხორვატია) — **ფავიოლა სულუაგა** (კოლუმბია) 6:3, 6:2; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (10, რუსეთი) 6:7 (5:7), 6:3, 6:1; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — **ანასტასია მისკინა** (4, რუსეთი) 6:3, 6:2; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — **პაოლა სუარესი** (არგენტინა) 7:6 (7:5), 5:7, 6:2

ნახევარფინალი

მორესმო — კაპრიატი 6:2, 6:0; უილიამსი — სპრემი 2:6, 6:3, 6:4

თავისი ზედიზედ მეთხუთმეტე გამარჯვების მისათვლელადა და ზედიზედვე მესამე ფინალში გასასვლელად ვინუს უილიამსს მატჩის მსვლელობისას ნაღრძობი კოჭისა და დაჭიმული ბაყვის გამოზელვა დასჭირდა. ეს გადამწყვეტ, მესამე სეტში მოხდა, როცა 19 წლის უსახელო ხორვატი სპრემი მას 3:0 უგებდა და კორტს გაუსაჩივრებლად აკონტროლებდა. მაგრამ გამოზელვის შემდეგ დაბრუნებულმა ვინუსმა რიტმარეულ მეტოქეს ჩოგანი მყისვე საჭირო ადგილზე მოარგო და მომდევნო შვიდი გეიმიდან მხოლოდ ერთიღა დაანება.

ამელი მორესმომ კი თავის მხრივ 53 წუთში გადაურბინა ჯენიფერ კაპრიატის და მას უკვე „საკარიეროდ" 6:4 ამარცხებს. აი, ვინუსთან ფრანგ დედათმავალს უარესი ბალანსი აქვს — მასთან ექვსჯერ უპაექრია და მისი ძლევა მხოლოდ ერთხელ, შარშანდელი ვარშავობის ფინალში მოახერხა, ისიც იმის გამო, რომ ბოქვენმტკივანმა ვინუსმა მატჩის შეწყვეტა არჩია.

ლევან კელაურაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

მსაჯმა მოინანია, მაგრამ ეპატია?

8 მაისი. ნახევარფინალები

კანადა 2:1 სლოვაკეთი

0:1 1:1 1:0

0:1 შატანი (21), 1:1 ბრიარი (33), 2:1 ჰორკოფი (47)

ამერიკელ არბიტრ რიკ ლუკერს ალბათ დიდხანს გასტანჯავს სინდისის ქენჯნა, რადგან მისმა შეცდომამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მატჩის შედეგზე და კანადას ფინალში გასვლის შანსი უბოძა. 47-ე წუთზე, კანადელთა შეტევის დროს, შაიბა სლოვაკთა კარს უკან აღმოჩნდა. მის დასაუფლებლად მეკარე იან ლაშაკი გასრიალდა, მაგრამ რობ ნიდერმაიერმა არ აცალა, ფეხებში ყვანჯი გამოსდო და წააქცია. ლაშაკი წამოდგა, კანადელებმა მარტივი კომბინაცია გაითამაშეს და შონ ჰორკოფმა დამატებაზე იხეირა. ცხადია, ლაშაკი და მისი პარტნიორები გაცხარდნენ, პრეტენზიები გამოთქვეს მსაჯთან, მაგრამ მან აღარ შეცვალა გადაწყვეტილება. ეს სხვა ვითარებაში, თუნდაც მატჩის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ეგებ არც მიექციათ ყურადღება, მაგრამ ახლა ანგარიში 1:1 იყო და, ეტყობა, მსაჯმაც იგრძნო დიდი პასუხისმგებლობა, ამ საბედისწერო მომენტის შემდეგ ცდილობდა, სლოვაკებს დახმარებოდა. დარჩენილ წუთებში 3 კანადელი დაჯარიმა, მაგრამ ამით სლოვაკებს ველარაფერი უშველა.

შვედეთი 3:2 აშშ

2:0 1:1 0:1

1:0 ტარნსტრიომი (1), 2:0 ჰოგლუნდი (19), 2:1 პარკი (32), 3:1 აქსელსონი (40), 3:2 ჰელპერნი (60)

მეორე ნახევარფინალში ყველაფერი მეტოქეთა ოსტატობამ გადაწყვიტა — უფრო მაღალ დონეზე შვედები აღმოჩნდნენ. საბოლოო შედეგი ვერც გამოხატავს იმ უპირატესობას, რომელსაც სკანდინავიელები ფლობდნენ. დიკ ტარნსტრიომმა მე-18 წამზევე დააწინაურა თავისიანები და — როგორც მომდევნო მოვლენებმა ცხადყო — ამერიკელები კარგა ხნით ამოაგდო კალაპოტიდან.

პლეი ოფი. მეორე წრე

8 მაისი

აღმოსავლეთი

ტამპა 1:0 ფილადელფია

ტამპა 3:1 ფილადელფია

0:0 2:1 1:0

1:0 ანდრეიჩუკი (23), 1:1 ბანდჩუში (27), 2:1 რიჩარდსი (34), 3:1 დინგმანი (48)

შანსს თვლა არ უყვარს, შაიბას მოშორება

სერიის პირველმა მატჩმა სპეციალისტებს სულ აუბნია თავგზა. ხალხი ისედაც ვერ ასახელებდა ამ წყვილში ფავორიტს. ანგარიშის მიხედვით თითქოს „ტამპაშ" დამაჯერებლად გაიმარჯვა, მაგრამ ვინც შეხვედრას თვალს ადევნებდა, ამას ვერ იტყვის. საკმაოდ ფხიზელი თამაში იყო და თითზე ჩამოსათვლელი მომენტები შეიქმნა. ასეთ მატჩებში წესით ერთიორი შაიბა გადის, მაგრამ სტუმართა მცველების სულელური შეცდომებისა და უიღბლობის გამო მათ კარში სამი გავიდა. პირველად შაიბის ზონიდან გადაგდების დროს დისკი თანამსაჯს მოხვდა და პირდაპირ დეივ ანდრეიჩუკს მიუვიდა. მეორე გოლისას ასევე შაიბის გადაგდება თვით ტამპელებმა ჩაჭრეს, ხოლო მესამე „ელვების" ძალისმიერმა ფორვარდმა კრის დინგმანმა მითვალა. იგი სიჩქარით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ ამჯერად ორ მცველს გაუსწრო და ყველაფერიც აქ დამთავრდა.

სამველ ღარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქს, მალე შეცვალე წესები! წინ, წარსულისკენ

ესპანური ეტაპის წინ მთელი საფორმულო სამყარო რბოლაზე მეტად წეს-კანონებში რევოლუციურ ცვლილებათა „მოსლის პროექტზე“ მსჯელობდა.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) თავკაცობა შეშფოთებულია ბოლო წლებში მიხაელ შუმახერის და მისი ფანტასტიკური „ფერარის“ არნახული უპირატესობით, რამაც საგრძნობლად დასცა მაყურებელთა ინტერესი სამეფო რბოლებისადმი. „წითელმა ბარონმა“ დაგეგმილი გადაჭარბებით შეასრულა — ზედიზედ ოთხი საჩემპიონო ტიტული და საშუალოდ ყოველი მეორე ეტაპი მოიგო (67-დან 35) — პენსიაზე კი მაინც არ ფიქრობს.

ჰოდა, რახან „მთა არ მიდის მუჰამედთან“, ფია-ს პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ ერთფეროვანი (წითელფეროვანი) ჩემპიონატის გამოსაცოცხლებლად და მოქმედ პირთა ძალების გასათანაბრებლად ფორმულა ერთის გაიაფება-გამარტივება განიზრახა. დეტალებში ჩაწვდომა შორს წაგვიყვანს და არცაა აუცილებელი. არსი ის გახლავთ, ბობოლა და საშუალოვიბიან სავიზიბოების შედეგებს შორის უფსკრული უფრო რომ არ გაღრმავდეს, რაიმე უნდა იღონონ და წლიური დანახარჯები სულ ცოტა გაანახევრონ. აი, გასატარებელი ღონისძიებები: შეიზღუდოს სეზონის განმავლობაში გამოყენებული ძრავების რაოდენობა და შემცირდეს მათი მოცულობა სამიდან 2,4 ლიტრამდე, დარჩეს საბურავების ერთი მწარმოებელი და, რაც უმთავრესია, აიკრძალოს პილოტის დამხმარე ყოველგვარი მოწყობილობა, რათა რბოლაში წარმატების მისაღწევად გადამწყვეტი გახდეს არა ელექტრონიკით გაჭყეპილი მანქანა, არამედ მძღოლის ოსტატობა, როგორც ეს 30-40 წლის წინათ იყო.



REUTERS ბარსელონიდან

უიშვიათესი კადრი — მიხაელ შუმახერი მდევრის როლში

ამ ზეპოქალური სიახლეების დანერგვას „მოსლი და კომპანია“ 2008 წლიდან გეგმავდა, მაგრამ გუნდების ბოსობამ ისეთი ენთუზიაზმით აიტაცა, ალბათ უფრო მალე განხორციელდება. და ძალიანაც კარგი იქნება, რადგან ფერარელთა კატათაგვობანას თამაში მეტოქეებთან აბსურდამდე მივიდა. მიხაელმა და რუბენს ბარიკელომ „კატალუნიაზე“ წლეულს უკვე მესამე დუბლით (პირველ-მეორე ადგილი) გაიმარჯვეს, ამასთან ზედიზედ მეხუთე და ისევ „ნოკაუტით“ მოგებამ, ვფიქრობთ, შუმის თავგადაკლულ ფანებსაც კი დაუკარგა ტრასიდან ტრასაზე ხეტიალის ხალისი თავიანთი კერპის „ბრძოლის“ საცქერად. არადა, ბარონს კინაღამ გაუჩერდა ბედაური გამოსაბოლქვ მილში ბზარის გამო.

ჩემპიონმა კვალიფიკაციაც დიდი სხვაობით მოიგო. მეორე დრო ხუან-პაბლო მონტოიას ჰქონდა, მეორე სასტარტო რიგში კი პირველად დადგნენ ტაკუმა სატო და იარნო ტრული. ბოლო ეტაპების გმირ ჯენსონ ბატონს თავიდან საქმე კარგად წაუვიდა, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში შეცდომით თითქმის ორი წამი დააკარგა, რბოლა მე-14 პოზიციიდან დაიწყო და ზედიზედ მეოთხე პოდიუმის იმედიც თავიდანვე გადაეწურა.

REUTERS ბარსელონიდან

ფერნანდო ალონსო თავისი მეფის მზარდაჭერამაც ვერ მიიყვანა პოდიუმამდე

ის იყო მრბოლები გასახურებელ წრეზე წავიდნენ, რომ ტრასაზე ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის საკრიტიკო პლაკატფარებული გადარეული ახალგაზრდა გამოვარდა. სტიუარდებმა უცებ „შეიპყრეს“ და მიაბრძანეს სადაც საჭიროა.

სტარტზე „წითელ ბარონის“ და „კოლუმბიურ ქარიშხლის“ გვერდიგვერდ დგომა მწვავე ბრძოლას მოასწავლებდა. მით უმეტეს, წინა ეტაპზე მომხდარის შემდეგ — „ბოლაზე“ ხუანი მიხაელის უკან კი იდგა, მაგრამ ისე დაფეთებული მოწყდა ადგილს, პირველივე მოსახვევამდე ორჯერ შეუტია გასასწრებად. გერმანელმა მკვეთრად მოუჭრა გზა, ბოლიდები ოდნავ შეეხნენ ერთმანეთს და „უილიამსი“ ბალახში აღმოჩნდა. გაკოფებულმა მონტოიამ მეტოქეს ხელით უცენზურო ჟესტიც უჩვენა.

ამჯერად საქმე არათუ კონფლიქტამდე, საერთოდ შებრძოლებამდე არ მისულა. ჩემპიონმა თავიდანვე გაქუსლა, უილიამსელი კი მუხრუჭების მიზეზით ფინიშამდე ასოოდე კილომეტრით ადრე გამოაკლდა ქარავანს.

სტარტი ტრულისა იყო — ყველაზე სწრაფად, ფალსტარტის ზღვარზე დაძრული მისი „რენო“ წინმდგომთა შორის ტყვიასავით გავარდა და რბოლას თავში მოექცა. ეს საათნახევრიანი ჯირითის ერთადერთი თვალსაჩინო ფრაგმენტი გახდა. 30 წლის იტალიელის გასაოცარი სისწრაფე მისი ადრეული პენსიის ნიშანი იყო. მართლაც, იარნომ უკვე მეათე წრეზე ჩაიმატა საწვავი, მიხაელმა ორიოდე წუთით გვიან, მაგრამ მანამდე ისეთი მარაგი შეიქმნა, რომ ტრასაზე ტრულის ცხვირწინ დაბრუნდა და გამარჯვებულის საკითხიც პრაქტიკულად მაშინ გადაწყდა. რენოელებმა მართალია, „წითელ ეშმაკებს“ იოტისოდენა წინაღმდეგობაც ვერ გაუწიეს, მაგრამ მესამე-მეოთხე ადგილებითაც, ცხადია, კმაყოფილები იყვნენ.

მიხაელ შუმახერისთვის ეს იყო მე-200 რბოლა და 75-ე დიდი პრიზი, ამასთან მეექვსე ესპანეთში, რომელიც თვით ხუან კარლოსის ხელიდან მიიღო. ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ ხუთი მოგება კი ინგლისელ ნაიჯელ მენსელის 12 წლის წინანდელი რეკორდის გამეორებაა.

ორასიანელთა კლუბის შესახებ კი ხვალინდელ „სარბიელში“.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

ესპანეთის დიდი პრიზი
9 მაისი. ბარსელონა
დისტანცია 66 წრე — 305,256 კმ

1	(1)	მ.შუმახერი (ფერარი)	1:27.32,841 (209,2 კმ/სთ)
2	(5)	ბარიკელო (ფერარი)	ჩამორჩა 13,290
3	(4)	ტრული (რენო)	32,294
4	(8)	ალონსო (რენო)	32,952
5	(3)	სატო (B.A.R)	42,332
6	(6)	რ.შუმახერი (უილიამსი)	1.13,804
7	(12)	ფიზიკელა (ზაუბერი)	1.17,108
8	(14)	ბატონი (B.A.R)	1 წრით
9	(17)	მასა (ზაუბერი)	1 წრით
10	(10)	კულჰარდი (მაკლარენი)	1 წრით
11	(13)	რაიკონენი (მაკლარენი)	1 წრით
12	(9)	ვებერი (იაგუარი)	1 წრით
13	(11)	და მატა (ტოიოტა)	1 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(19)	პანტანო (ჯორდანი)	გაიარა 51 წრე
(2)	მონტოია (უილიამსი)	46
(16)	კლინი (იაგუარი)	43
(7)	პანი (ტოიოტა)	33
(15)	ჰაიდფელდი (ჯორდანი)	33
(18)	ბრუნი (მინარდი)	31
(20)	ბაუმგარტნერი (მინარდი)	17

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

კვალიფიკაცია
მ.შუმახერი 1.15,022 (222,0 კმ/სთ)

რბოლაში საუკეთესო წრე
მ.შუმახერი 1.17,450 (215,1 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP	ავსტრალია 7 მარტი	მალაიზია 21 მარტი	ბაჰრეინი 4 აპრილი	სან მარინო 25 აპრილი	ესპანეთი 9 მაისი	მონაკო 23 მაისი	მონრეალი 30 მაისი	ბანგლა 13 ივნისი	აშშ 20 ივნისი	საფრანგეთი 4 ივლისი	დ.ბრიტანეთი 11 ივლისი	უნგრეთი 25 ივლისი	შნელეთი 15 აგვისტო	ბელგია 29 აგვისტო	იტალია 12 სექტემბერი	ჩინეთი 26 სექტემბერი	იაპონია 10 ოქტომბერი	ბრაზილია 24 ოქტომბერი	ჯამი
1 მ.შუმახერი, ფერარი, გერმანია	10	10	10	10	10														50
2 ბარიკელო, ფერარი, ბრაზილია	8	5	8	3	8														32
3 ბატონი, B.A.R., დ.ბრიტანეთი	3	6	6	8	1														24
4 ალონსო, რენო, ესპანეთი	6	2	3	5	5														21
5 ტრული, რენო, იტალია	2	4	5	4	6														21
6 მონტოია, უილიამსი, კოლუმბია	4	8	–	6	–														18
7 რ.შუმახერი, უილიამსი, გერმანია	5	–	2	2	3														12
8 სატო, B.A.R., იაპონია	–	–	4	–	4														8
9 კულჰარდი, მაკლარენი, დ.ბრიტანეთი	1	3	–	–	–														4
10 ფიზიკელა, ზაუბერი, იტალია	–	–	–	–	2														2
მასა (ზაუბერი), ვებერი (იაგუარი), რაიკონენი (მაკლარენი) — 1 ქულა																			
1 ფერარი	18	15	18	13	18														82
2 რენო	8	6	8	9	11														42
3 B.A.R.	3	6	10	8	5														32
4 უილიამსი	9	8	2	8	3														30
5 მაკლარენი	1	3	–	1	–														5
ზაუბერი — 3, იაგუარი — 1 ქულა																			

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსების პრობლემა აღარ არსებობს. ახლა მთავარია, ყოველი ნაბიჯი კარგად ავწონ-დავწონოთ და ერთი გადაწყვეტილებაც არ მივიღოთ ცხელ გონებაზე. ეს არის მთავარი, რაც რაგბის კავშირში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა. მერაბ ანთაძე ჟურნალისტებს პირველად შეხვდა რაგბის კავშირის პრეზიდენტის რანგში და, ცხადია, ქართული რაგბის ყველა საჭირბოროტო საკითხს შეეხო, თან კავშირის ახალი შემადგენლობაც დაასახელა

გადავხედოთ მემკვიდრეობას

რაგბის კავშირმა თავი და თავისი გეგმა წარმოადგინა

რაგბის კავშირის ახალი მთავრები ლევან იოსელიანი, გოჩა ხუნდაძე, მერაბ ანთაძე და სოსო მაისურაძე

ვეტერანმა მორაგბემ, ამჟამად ბიზნესმენმა ლევან იოსელიანმა არჩევნებამდელი დაპირება შეასრულა და სპონსორთა ვინაობაც გაამჟღავნა. „ქართული რაგბის წინსვლას სამი ძლიერი კომპანიის დახმარებით ვაპირებთ — თქვა იოსელიანმა — მათზე უკვე ფუნქციებიც გადავანაწილეთ. „კასტელის" ფრანგული ჯგუფი ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს. ჯერ მოლაპარაკების მხოლოდ პირველი ეტაპია დასრულებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს კონტრაქტს წინ რაიმე ელობებოდეს. უბრალოდ ტექნიკური საკითხები არაა ბოლომდე მოგვარებული. ამას სავარაუდოდ 1 კვირა დასჭირდება. ნაკრების მიხედვაში მარტო შეკრებების მოწყობა და ტურნირზე გაშვება არ შევა. საუბარია პრემიალურებზეც. სხვა ნაკრებებზე ასევე ფრანგული კომპანია „იმპრემიერ ნასიონალე" იზრუნებს. შიდა ჩემპიონატს კი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" მიხედავს."

მერაბ ანთაძის თქმით, აქამდელ პრიორიტეტს, ანუ ნაკრებს ახლა საქართველოში რაგბის განვითარება მიემატება. განსაკუთრებული ყურადღება ბავშვთა რაგბის მიექცევა.

მერაბ ანთაძე: „გეგმაშია საკლუბო სისტემის, მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლების, ბავშვთა ტურნირების ორგანიზებისა და სტადიონების მოძიების საკითხთა გადაწყვეტაც. დასალაგებელია საშეჯიბრო სტრუქტურაც, მაგრამ ვინაიდან ერთი ხელის მოსმით ამის გაკეთება შეუძლებელია, საქართველოს თასის გათამაშება კვლავ ძველი დებულებით დაიწყო. ჩემპიონატი კი ახალი დებულებით ჩატარდება. მასზე უკვე სერიოზულად მუშაობენ."

„დაგეგმვის გარეშე მუშაობის პრეცედენტი აუცილებლად უნდა ამოვძირკვოთ. ხვალ რომ ტურნირია, იმისთვის საჭირო თანხა დღეს არ უნდა ვეძიოთ — ამბობს ლევან იოსელიანი — სამწუხაროდ, ასე გვიწევს მუშაობა, რადგან მთელი რიგი საკითხები ჯერაც შესასწავლია. ყველაფერი ალბათ მომავალი წლისთვის დალაგდება. ბიუჯეტი შეკრებების, ტურნირებისა და სხვა ღონისძიებების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს. მაგრამ აქამდე დაგეგმილ ტურნირებს ჩაშლის საფრთხე მაინც არ ემუქრება.

და კვლავ მერაბ ანთაძე: „ნაკრებში უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანის თაობაზე ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ყველა ასაკის ნაკრების თავკაცი თანამდებობაზე რჩება. გამონაკლისი მხოლოდ პაატა ნარიმანაშვილია, რომელმაც თვითონ ითხოვა წასვლა და კარიერის საკლუბო დონეზე გაგრძელება. შეიქმნება მწვრთნელთა საბჭო და ყველა ერთად ვიმსჯელებთ, როგორ მოვიქცეთ. ნაჩქარევად ჩამოყვანილ უცხოელს ჯობია, ისევ ეს შემადგენლობა იყოს."

ბოლოს პრეზიდენტის მიერ დასახელებულ კავშირში მოსაქმეთა სიასაც გაგაცნობთ. ვიცე-პრეზიდენტად ზაზა ქასაშვილი რჩება. გენერალურ მდივნობას სოსო მაისურაძე გასწევს. საშეჯიბრო კომიტეტს ირაკლი ხუციშვილი უთავკაცებს, პრესსამსახურს კი გოჩა ხუნდაძე.

ოთარ მაღლაკელიძე

წვიმა იყო, გადაიღო

აკადემიამ პირი დაიბანა

სანამ რაგბის კავშირის ახალი ხელმძღვანელობა ნანატრ მოედანს უშოვის, მორაგბეები ისევ ლოკომოტივის სათადარიგო მინდორმა შეიფარა. ამინდმაც შეიბრალა ჩვენი უსახლკარო რაგბი, დილით წვიმა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ასე, საღამოს ექვსი საათისთვის მოავლინა ნალექი. იმ დღეს დაგეგმილი ორი მატჩიდან ერთი უკვე მოლეული იყო და მეორე წყვილიც შესულიყო მოედანზე. ასე რომ, მორაგბეებთან არავინ მისულა ბურთის თუ არა, მოედნის წასართმევად — ნაწვიმარზე ნუ თამაშობთ, ისედაც ამ ღრღრჩოღროს სულ გადათხრითო.

თამაშებსაც არა უშავდა, განსაკუთრებით პირველს, რომელშიც მეტ-ნაკლებად ტოლძალოვანი გუნდები — ქუთაისის „აია" და „უნივერსიტეტი" შეერკინნენ ერთმანეთს. გამარჯვება ქუთაისელებს დარჩათ და შემდეგ ანუ რიგით მესამე წრეში ისინი სხვა ხუთ რჩეულ გუნდთან ერთად ჯგუფურ ტურნირში გააგრძელებენ თასისთვის დავას.

მეორე, უკვე წვიმით დამბალ მატჩში იმედი L-ისგან დასპონსორებულმა „აკადემიამ" საწყისი ჯაჯგურის შემდეგ თავის „უმცროს ძმას" აკადემია 2-ს აჩვენა, ვინ ვინ არის და 39:6 მოუგო.

გუშინ დამარცხებულები „უნივერსიტეტი" და „აკადემია 2" თავისთავად გამოეთხოვნენ თასს, მაგრამ ისინი სხვა დამარცხებულებთან ერთად სანუგეშო ბადეში გააგრძელებენ თამაშს. ამ ბადის ხლართებში ვინ ვის ხვდება, ამის ახსნას ნუ გვთხოვთ. დანამდვილებით იმის თქმას თუ მოვახერხებთ, რომ „უნივერსიტეტის" და სხვა საშუალო გუნდების ჭერი შეიძლება იყოს მე-5 ადგილი თასზე.

პირველი თამაში ქუთაისელთა ლელოთი დაიწყო. „უნივერსიტეტი" სანამ გახურდებოდა, „აიამ" ზედ მის სალელოვე ხაზთან საკუთარ აუტში მოგებული ბურთი ძალით შეიტანა ლელოში და მოწინაღმდეგეებს ხეირიანად ჯერ სალამი არ ეთქვათ, რომ 5:0 დაწინაურდა. თბილისელები გახელდნენ და ქუთაისელთა ნახევარზე დასახლდნენ. საპასუხო ლელო მატჩის დაახლოებით მე-15 წუთზე გამოცხვა. „უნივერსიტეტის" გარე შუამარბმა (13) გიორგი კობერიძემ ქუთაისელთა რიგებში განდაგან სირბილით წაიწია და თენგიზ დგებუაძეს (14) 5-ქულიანი პასი მისცა. თბილისელთა მცველმა (15) ბაირამაშვილმა ეს ლელო გარდასახა, რამდენიმე წუთში კი საჯარიმოც შაგდო და თავისი გუნდი 10:5 დააწინაურა.

ქუთაისელები დროულად გამოერკვნენ, მეორედ გადავიდნენ თბილისელთა ნახევარზე და კვლავ ლელო მოინადირეს. „აიამ" კვლავ მარჯვენა კუთხეში შეჩიხა „უნივერსიტეტი", ოღონდ ახლა შუბლით არ მიწოლია. ქუთაისელებმა ბურთი გაათამაშეს და ბორჯღალოსანი გიორგაძეების — აქსენტის და ირაკლის შუათანა ძმა კობამ ზვიად ზვიადაძეს გააჭრევინა ხაზი. ლელო ძელებსშუა დაიდო და იოლი გადრასახვის შემდეგ კვლავ „აია" დაწინაურდა — 12:10.

„უნივერსიტეტი" კვლად მიეძალა და საჯარიმო გამოიმუშავა. თბილისელები 13:12 გავიდნენ წინ, მაგრამ ბევრის მნახველმა და გამტანმა ქუთაისელმა ვეტერანმა ემზარ ძაგნიძემ ტაიმის ბოლოს საჯარიმო შაეგდო და „აია" საბოლოოდ დაწინაურდა — 15:13.

მეორე ტაიმში „უნივერსიტეტი" ბევრს ცდილობდა, მაგრამ ქუთაისელები ანგარიშს აკონტროლებდნენ და ერთი ხანობა 21:13 დაწინაურდნენ. „უნივერსიტეტმა" ორი საჯარიმოს გაქვითვალა მოახერხა და ბრძოლაში დაამთავრა მატჩი.

თანაბარი კვეთებით დაიწყო მეორე შეხვედრაც. უმცროსმა აკადემიელებმა უფროსებს პირველი ტაიმის პირველ ნახევარში ორი საჯარიმო შეჰკადრეს და 6:3 წინაც გავიდნენ, მაგრამ დიდების ძალამ მოხერხებაც მოიშველია და აღმართი მოხნა. ერთ შეტევაში „აკადემიამ" „აკადემია 2-ს" რამდენიჯერმე დაარტყა და რამდენიმე ფაზის შემდეგ მათმა შერკინებამ ხაზის ერთბაშად ოთხი მოთამაშე დატოვა სალელოვე ხაზთან სრულ მარტოობაში.

დიდმა აკადემიამ ამ ლელოს გარდა კიდევ ხუთჯერ დალაშქრა პატარების ციხე, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, კერძოდ, ირაკლი მაჩხანელი, შალვა პაპაშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი და დავით კიკნაძე. სამი ლელოა მჭედლიძის ანგარიშზე.

კოტე ყორშია

საქართველოს თასი II ეტაპი

9 მაისი. „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანი

თსუ 19:21 აია

თსუ: ა. სანაძე, ქარაბაკი, ნიშნიანიძე, ლ. სანაძე, მასხარაშვილი, მთიულიშვილი, თავართქილაძე, ტუჩაშვილი, ღვინჯილია, კობახიძე, ელოშვილი, ჩიხლაძე, კობერიძე, დგებუაძე, ბაირამაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: გუჯარაიძე, ტურაშვილი, დანელია, სანიკიძე, ყურშიტაშვილი

1ლ: დგებუაძე; 1გ: ბაირამაშვილი; 1ა: კობახიძე; 3ს: ბაირამაშვილი

სინბინი: ტუჩაშვილი

აია: გიორგაძე, ყუბანეიშვილი, ზვიადაძე, გაბუნია, მ. სვინტრაძე, ბალანჩივაძე, იორამაშვილი, გოგისვანიძე, სორდია, ძაგნიძე, ტყაბლაძე, შერვაშიძე, ზ. სვინტრაძე, ლილუაშვილი, ხამაშურიძე

შეცვლაზე შევიდნენ: ბოდოკია

2ლ: მ. სვინტრაძე, ზვიადაძე; 1გ: ძაგნიძე; 1ა: შერვაშიძე; 2ს: ძაგნიძე

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

აკადემია 2 6:39 აკადემია

იმედი L აკადემია 2: ფირცხალაიშვილი, ხვადაგიანი, კიკოლიაშვილი, წიკლაური, ლ. ობოლაძე, ჩაჩუა, მაღლაკელიძე, სირბილაძე, ბეგაძე, სულთანიშვილი, ჩუბინიძე, ნატროშვილი, ღამბაშიძე, გორგოძე, ხუხუნაიშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ალიხანაშვილი, გადუნაშვილი, არუხნიშვილი, პაპიაშვილი, გორდეზიანი

2ს: ხუხუნაიშვილი

სინბინი: სულთანიშვილი

იმედი L აკადემია: ბანდელიძე, ჯანჯალაშვილი, ბალანაშვილი, ნებულიშვილი, გელაძე, მჭედლიძე, მინაშვილი, მურვანიძე, კობახიძე, ქოპილაშვილი, ბატოიანი, კაპანაძე, პინჩუკოვი, მესხიშვილი, გურგენიძე

შეცვლაზე შევიდნენ: ცხვედიანი

6ლ: მჭედლიძე (3), მესხიშვლი (2), ცხვედიანი; 3გ: ქოპილაშვილი; 1ს: ქოპილაშვილი

სინბინი: გურგენიძე, მჭედლიძე

მსაჯი: მ. ჩაჩუა

აჭარაში დათვი ცოცხალია

დავით ჩავლეიშვილი

ორ დღეში საქართველოს 21-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები რუმინეთში გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ. დავით ჩავლეიშვილისა და ნუზგარ ძაგნიძის გუნდმა გუშინ ბათუმში ბოლო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა „დათვებთან".

ორივე გუნდმა საბრძოლო შემადგენლობით ითამაშა და ბლომად ქულებიც აგროვა.

„არც ვიცი რა ანგარიში დაფიქსირდა. მთავარი ჩვენთვის კომბინაციური თამაშის დახვეწა იყო და ამ მხრივ კმაყოფილი დავრჩი. სასიამოვნო იყო ასევე ის ფაქტიც, რომ ბათუმს ვეთამაშეთ. აჭარული გუნდი მალე თასის გათამაშებაშიც ჩაერთვება" — გვითხრა გუშინ თბილისში მომავალმა ჩავლეიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონა გელანდება, სიმონ?!

REUTERS ფოტოები

„ბაიერნისა" და ბუნდესნაკრების მეკარე ოლივერ კანმა ზედ „ვერდერთან" გადამწყვეტი მატჩის წინ თქვა, ამ ბოლო დროს მიქარვებს რომ ვუხშირე, ეგ ჩემი პირველი ცოლის, სიმონას ბრალია — მასთან განშორებას დღემდე მძიმედ განვიცდი და ზოგჯერ მოედანზეც მელანდებაო. ვინძლო, აგერ ამ კოლაჟზე რომ იმავ „ვერდერთან" კანის მორიგი ბითურობის სცენაა აღბეჭდილი, ესეც სიმონას მოლანდების ბრალი იყოს.

ასეა თუ ისე, კანმა რომ შაბათის მატჩში მისკენ ტაატით მიმგორავი ბურთი ვერ შეიმაგრა და ივან კლასნიჩს პირველი ბურთი შეაგდებინა, „ბაიერნის" წლევანდელი ჩაფლავებისთვის წერტილის დამსმელი სწორედ ეგ გამოდგა. ამ მიუნხენურ მატჩში ბრემენელებმა 3:1 მოიგეს და გაჩემპიონდნენ კიდეც.

ქვედა ფოტოებზე კი ასეთი ვითარებაა — ერთგან დევიდ ბექჰემის ცოლი ვიქტორია და ვაჟი ბრუკლინი უცქერენ, თუ როგორ მარცხდება მათი ქმრისა და მამის „რეალი" შინ „მალიორკასთან". მეორეგან კი „კაიზერსლაუტერნის" ხორვატ ნახევარმცველ ნენად ბიელიცას „ვოლფსბურგისთვის" გატანილი გადამწყვეტი გოლის (3:2) შემდეგ პირში ბავშვის სატყუარა გაუჩრია და ხარობს.

REUTERS ფოტოები

REUTERS კაი ზერსლაუტერნიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge